



24 ნოემბერი, ოთხშაბათი, 2010 წ. №13 (2109)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

# როგორ მოვახაროთ საუნივერსიტეტო რესურსები სტუდენტებს



„პირველობა საქართველოსა და კავკასიაში მართლაც საამაყოა, მაგრამ ეს ლიდერობა, რაც ჯერ კიდევ მოსაპოვებელი გვაქვს, მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. უნივერსიტეტის უკეთესი მომავალი სტუდენტთა აქტიურობისა და თანადგომის გარეშე წარმოუდგენელია“, — ასეთია თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე კვიციანიშვილის მოსაზრება, რომელიც უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის, მედიცინის და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებს შეხვდა იმ მიზნით, რომ მათი მოსაზრებები და შენიშვნები მიესმინა.

## შეხვედრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა ალექსანდრე კვიციანიშვილს მალევე კორპუსში უმასპინძლეს. რექტორის

მოვალეობის შემსრულებელმა შენობა და მიმდებარე ტერიტორია დაათვალიერა და სტუდენტებს საკუთარი შთაბეჭდილება გაუზიარა.

„სტუდენტობის დროს ჩემი თაობის ადამიანებს მალევე კორპუსის პათოლოგიური შიში გვქონდა — აქ მისაღებ გამოცდებს ვაბა-

რებდით... სანყალი მშობლები მზის გულზე იდგნენ, ჩვენ კი უსახურ აუდიტორიუმში ვისხედით. ახლა, როდესაც კორპუსი დავათვალიერე, აღფრთოვანებას ვერ ვმაღავ — ცვლილებები ამკარაა, თუმცა, ამას ვერ დავფერდებით, კარგ დასაწყისს კარგი გაგრძელება სჭირდება! მერნმუნეთ, აქ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება“, — მიმართა ალექსანდრე კვიციანიშვილმა სტუდენტებს.

მან ვრცლად ისაუბრა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, უკვე განხორციელებულ თუ სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებზე, თსუ-ში ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და სხვა მოსაგვარებელ საკითხებზე. ბოლოს კი რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა თინათინ ახვლედიანმა რექტორთან საუბრისას აღნიშნა, რომ ფაკულტეტი სრულად ვერ იყენებს მთელ რესურსს მიუხედავად იმისა, რომ ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩატარებულ საჯარო ლექციებს პრესტიჟული უნივერსიტეტებიდან მოწვეული ლექტორები კითხულობენ. მისი აზრით, კონტაქტების გაღრმავებისთვის აუცილებელია გაფორმდეს მემორანდუმები ფინანსთა

და ეკონომიკის სამინისტროებთან. თინათინ ახვლედიანმა ერთერთ მტკივნეულ პრობლემად სტუდენტების სტაჟირება დაასახელა.

ალექსანდრე კვიციანიშვილმა მართებულად მიიჩნია სტუდენტის აზრი და აღნიშნა, რომ მსგავსი მემორანდუმების გაფორმება აუცილებელია, რომ სტუდენტების სტაჟირებას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული გამოცდილების მიღების თვალსაზრისით. „სტუდენტების სტაჟირება ამერიკისა და ევროპაში აპრობირებული მეთოდია. მემორანდუმები აუცილებლად გაფორმდება და ჩვენი პარტნიორებისგან მოვითხოვთ — გამოგიყონ გარკვეული კვლავ სტაჟირებისთვისაც“, — აღნიშნა ალექსანდრე კვიციანიშვილმა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები დაინტერესდნენ, გაიზრდება თუ არა ინგლისურენოვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე გაცვლითი პროგრამების რაოდენობა, შესაძლებელია თუ არა ინგლისური ენის უფრო გაძლიერებული სწავლების კურსის შემოღება უნივერსიტეტში, მოგვარდება თუ არა თსუ-ის კურსდამთავრებულთა დასაქმების პრობლემა და სხვა.

ღა-3 გვერდზე

## სენატი საუნივერსიტეტო თანხმობის ილქას მოამსახურება

ღა-2 გვერდზე

## სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წინაპირობები

ღა-2 გვერდზე

## პრესტიჟული უნივერსიტეტის დიპლომი თაროზე არ უნდა შეამოიღოს

ღა-4 გვერდზე

## პოლიტიკა ვერ იმორჩილებს საღმონებას

ღა-5 გვერდზე

## კავკასიური ცივილიზაცია — ისტორია და თანამედროვეობა

ღა-6 გვერდზე

## ჯარისკაცი მეცნიერებაში

ღა-7 გვერდზე

## „შოთაოვის“ პრემიის მფლობელი პოეტი „ვეფხისტყაოსანს“ ლოცვასავით კითხულობს

ღა-9 გვერდზე

## ნაზიჟი მსოფლიო ჩემპიონობამდე

ღა-11 გვერდზე

# პირველი უნივერსიტეტის დამაარსებლის საფლავი ყვავილებით შეამკეს

18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან 70 წლისთავზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კვიციანიშვილი, თსუ-ის აკადემიური საზოგადოება, ადმინისტრაციის პერსონალი და სტუდენტობა პირველი კორპუსის ეზოში შეიკრიბა და ყვავილებით შეამკეს დიდი ქართველი მეცნიერის და პირველი უნივერსიტეტის დამაარსებლის საფლავი. ალექსანდრე კვიციანიშვილმა და აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ კიდევ ერთხელ შეახსენეს დამსწრე საზოგადოებას ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი და მეცნიერის მოღვაწეობაზე ისაუბრეს.

„ერისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებულ პიროვნებათა ღვაწლის სათანადოდ აღნიშვნა

ნა ყველა კულტურული ერის ერთ-ერთი უპირველესი დანიშნულება და მოვალეობაა. ამიტომაც უნივერსიტეტში ყოველ წელიწადს აღინიშნება ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების დღე. მან არა მარტო დააარსა უნივერსიტეტი, ასევე, საფუძველი ჩაუყარა ახალი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებას, იგი გახლდათ დიდი მეცნიერი და დიდი პიროვნება. ივანე ჯავახიშვილმა ჭეშმარიტად დაიმსახურა ის, რომ ერმა, ქვეყანამ მისი სახელი დიდებითა და პატივით მოიხსენიოს“, — განაცხადა აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ. როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილი 1940 წლის 18 ნოემბერს აუდიტორიაში ლექციის კითხვის დროს გარდაიცვალა.



# სენატი საუნივერსიტეტო თანხმობის იდეას მოემსახურება



წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა, სადაც ფაკულტეტების წარმომადგენლებს ხებისმიერი საკითხის დასა და სხვადასხვა პრობლემის განხილვა შეუძლიათ. აქ მსჯელობენ საუნივერსიტეტო გარემოს გაუმჯობესებაზე, სტუდენტთა წინადადებებზე, სწავლისა და სწავლებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე. ამიტომაც წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ერთ-ერთი უაღრესად საკვლელო მოვლენაა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

## მაია ტორაძე

სენატის წევრები ფაკულტეტებზე პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად ირჩევა. სტუდენტები სენატის შემადგენლობის ერთ მესამედს შეადგენენ, რაც მათ უნივერსიტეტის მართვაში სრულფასოვანი მონაწილეობის საშუალებას აძლევს.

2010 წლის 26 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში მეორედ აირჩიეს წარმომადგენლობითი საბჭო, რომლის უფლებამოსილების ვადაც კანონით 4 წელია დადგენილი. სენატის შემადგენლობა 40 წევრით განისაზღვრება. მათგან 39 წევრი ირჩევა ფაკულტეტებზე, მე-40 წევრი კი უნდა იყოს აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, რომლის კანდიდატურაც ჯერ არ შერჩეულა. ფაკულტეტებზე არჩევნების შედეგად წარმომადგენლობითი საბჭოში შევიდა 25 პროფესორი და 14 სტუდენტი.

სენატის პირველი სხდომა გაიმართა 2 ნოემბერს. ახლად არჩეულ წარმომადგენლობითი საბჭოს, რომელსაც სიითი შემადგენლობის 39-ვე წევრი ესწრებოდა, მიესალმა და სენატში არჩევა მიულოცა უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიციანიძემ.

წესდების მიხედვით, სენატის პირველ სხდომას წარუძღვა უხუცესი წევრი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო კანონთა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი პირველი სხდომის დღის

წესრიგი: ახლად არჩეულ წევრთა უფლებამოსილების ცნობა და სენატის სპიკერის ფარული კენჭისყრით არჩევა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ დევედარიანმა მიმოიხილა ჩატარებული არჩევნები და სენატს გააცნო გამარჯვებული კანდიდატები: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან: ინეზა გაგნიძე, ნუგზარ თოფლაძე, ელგუჯა მექვაბიძე, სტუდენტი – გიორგი კარტოზია, გიორგი მესხორაძე, გიორგი ჩაბაკაური; მედიცინის ფაკულტეტიდან: გიორგი გალდავა, ვლადიმერ მარგველიძე, ზურაბ ფაღვაძე, სტუდენტი: ნინო ცინაძე; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან: შორენა თურქიაშვილი, მალხაზ მაცაბერიძე, მანანა შამილოშვილი, მარი ნურეთელი; სტუდენტები: კონსტანტინე ნახუცრიძე, ლევან ჩოხელი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან: ცირა ბარამიძე, მიხეილ ბახტაძე, ირაკლი ბრაჭული, ნანი გელოვანი, ვახტანგ ლიჩელი, კახაბერ ლორია, თამარ პაიჭაძე; სტუდენტები: ბექა ახლოური, ვახტანგ ზვიგიაძე, უნა ჯღამაძე; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან: არნოლდ გეგეჭკორი, მერაბ ელიაშვილი, ბუფან თუბერაძე, როლანდ ომანაძე, მანანა ხაჩიძე, დავით კერესელიძე; სტუდენტები: ვასილ გუბაძე, გივი ჭლიკაძე; იურიდიული ფაკულტეტიდან: გიორგი კახიანი, გიორგი კვერცხიანი; სტუდენტები: ბექა ბენდელიანი, თამარ პაპაშვილი, ივერი ჭალიძე;

ამის შემდეგ წარმომადგენლობითი საბჭომ, წესდების მიხედვით, სცნო თავისი უფ-

ლებამოსილება.

სენატის პირველი სხდომის მეორე საკითხი იყო სპიკერის არჩევნები. წესდების მიხედვით, სენატის სპიკერი ირჩევა ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით. არჩევნებს თსუ-ის საარჩევნო კომისია ატარებს.

თსუ-ის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ დევედარიანმა დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ კომისიაში სპიკერის კანდიდატურად წარმოდგენილ იქნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი კახაბერ ლორია.

ამის შემდეგ, სხდომაზე, კანონისა და თსუ-ის წესდების შესაბამისად, სპიკერის არჩევნებთან დაკავშირებით გაიმართა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგად კახაბერ ლორიას მხარი დაუჭირა სენატის 38-მა წევრმა. ერთი ბიულეტენი ბათილად იქნა ცნობილი.

კახაბერ ლორია თსუ-ის სენატის სპიკერის თანამდებობას უკვე მეორედ დაიკავებს. იგი კარგად იცნობს ამ ორგანოს მუშაობის სპეციფიკას და მიაჩნია, რომ სენატი არის უნივერსიტეტის ერთგვარი მინი-პარლამენტი, სადაც აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და სხვადასხვაობის მიუხედავად, ყოველთვის მიიღწევა ოპტიმალური გადაწყვეტილება უნივერსიტეტის სასარგებლოდ. „წარმომადგენლობითი საბჭო, ანუ სენატი არის უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთი ორგანო, რომელიც წარმომადგენლობითი პრინციპით კომპლექტდება. თანამედროვე საუნივერსიტეტო მოდელისთვის უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტების მონაწილეობა ძალზე მნიშვნელოვანია და სწორედ სენატი უზრუნველყოფს ამას, გამომდინარე კანონიდან, სადაც მითითებულია, რომ სენატის შემადგენლობის 1/3 მაინც სტუდენტების წარმომადგენლები უნდა იყვნენ. საგულისხმოა, რომ ჩვენი უნივერსიტეტის მართვის მოქმედი მოდელი არ არის მკაცრად ცენტრალიზებული და მართვის ცალკეულ ორგანოებს საკმაოდ ფართო უფლებამოსილების სფერო აქვთ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ისინი ერთმანეთთან შეთანხმებულად თანამშრომლობენ. წარმომადგენლობითი საბჭოს დიდი ფუნქცია აკისრია, რათა არ დაირღვეს წონასწორობა საერთო საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.“

სენატი ის ორგანოა, რომელიც კანონისა და უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, უშუალოდ თანამშრომლობს აკადემიურ საბჭოსთან, ადმინისტრაციასთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტებთან და ფაკულტეტების მართვის ორგანოებთან. როგორც სპიკერს, სენატის მთავარ ამოცანად მიმანია – ვემსახუროთ საუნივერსიტეტო თანხმობის იდეას, რომ არ არსებობდეს ისეთი სახის წინააღმდეგობები, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის პროცესს, — განაცხადა ჩვენთან საუბარში წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ.

სენატის მეორე სხდომა, რომელიც 9 ნოემბერს გაიმართა, 34 წევრი ესწრებოდა. დღის წესრიგში, სხვა მიმდინარე საკითხებთან ერთად, ორი საკითხი იდგა – აკადემი-

ური საბჭოს მიერ კონკურსის წესით შერჩეული კანდიდატურების დამტკიცება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობებზე.

აკადემიურმა საბჭომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარადგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ნინო დურგლიშვილის კანდიდატურა. სენატმა განიხილა და იმსჯელა წარდგენილ კანდიდატურაზე და ღია კენჭისყრით ერთხმად დაამტკიცა იგი.

ნინო დურგლიშვილმა სენატს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა წარუდგინა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრიორიტეტებზეც ისაუბრა. მან ჩვენთან საუბარშიც გამოკვეთა, რომ სამსახურის მიზანი იქნება უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების დონის ამაღლება: „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფა ევროსტანდარტების დონეზე. სამსახურის პრიორიტეტები იქნება: ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაცია; გლობალიზაციის პროცესებში წარმატებული სუბიექტის სახით ჩართვა; საუნივერსიტეტო ტრადიციის უწყვეტ განვითარება; ეროვნული სამეცნიერო სკოლების აღორძინება; ინსტიტუციური გაძლიერება, როგორც კანონზომიერი და უწყვეტად მზარდი ხარისხის აუცილებელი წინაპირობა; საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაცია; პრინციპის — „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ — დანერგვის ხელშეწყობა; პრინციპის - „უმადლეისი განათლება — საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა“ — დანერგვის ხელშეწყობა; ხარისხის უზრუნველყოფაში სტუდენტების კომპეტენტურ, აქტიურ და კონსტრუქციულ პარტნიორად ჩართვა; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება. აღნიშნულ საკითხებზე უნივერსიტეტში, პარალელურ რეჟიმში, მუშაობა უკვე დაწყებულია“, — აღნიშნა ნინო დურგლიშვილმა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე აკადემიურმა საბჭომ წარადგინა დავით ჩომახიძის კანდიდატურა. წარმომადგენლობითი საბჭომ იმსჯელა წარდგენილ კანდიდატურაზე, რის შემდეგაც, კანონის თანახმად, თსუ-ის საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებული ფარული კენჭისყრით, ერთხმად დაუჭირა მხარი დავით ჩომახიძეს.

ამით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო პირველი ეტაპისთვის აუცილებელი საკითხების განხილვა დაასრულა და სრული დატვირთვით შეუდგა მუშაობას.

# სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წინაპირობები

## ნათო ოპოლაკი

თსუ-ის 296 სტუდენტს ერთი და იგივე საკვლევებლო კურსის სამჯერ მოსმენისა და კრედიტის ვერმიღების გამო, შესაძლოა, სტუდენტის სტატუსი შეუწყდეს. რექტორის 2010 წლის 27 ოქტომბრის №1842/01-04 ბრძანებით, ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს. სისპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 59-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 20 მარტის 36/2010 დადგენილებით დამტკიცებული თსუ-ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთი და იგივე საკვლევებლო სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერმიღება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ამ მიზეზით დაიწყო 296 სტუდენტის საქმეზე ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც ნოემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს. ამ სტუდენტებს 2010-2011 შემოდგომის სასწავლო სემესტრიდან,

თსუ-ის ადმინისტრაციამ, რეგისტრაციის გავლის უფლება აღარ მისცა.

თსუ-ის 5 ფაკულტეტიდან გარიცხვის კანდიდატ სტუდენტთა სტატუსიკა ასეთია: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ადმინისტრაციული წარმოება 9 სტუდენტზე მიმდინარეობს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – 28 სტუდენტზე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 26 სტუდენტზე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 97 სტუდენტზე. ასეთი პრობლემის მქონე ახალგაზრდების რაოდენობა ყველაზე ბევრი იურიდიულ ფაკულტეტზეა — სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება 135 სტუდენტზე მიმდინარეობს.

როგორც მსგავსი პრობლემის მქონე ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, ისინი სხვადასხვა დაწესებულებებში არიან დასაქმებულნი, რის გამოც ლექციებზე სიარულს ვეღარ ახერხებდნენ და საკვლევებლო საგნის ჩაბარება ამ მიზეზით ვერ შეძლეს. სტუდენტების არაუმეტესე კი თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტში ერთგვარი

პოზიცია აქვთ. დეპარტამენტის სპეციალისტების განცხადებით, თუკი სტუდენტი ხედავს, რომ იგი სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღებას ვერ შეძლებს, თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 20 მარტის №36/2010 დადგენილებით დამტკიცებული თსუ-ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, მას უფლება აქვს აკადემიური რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნით სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში სასწავლო დეპარტამენტს მიმართოს. ამ პროცედურის გავლის შემდეგ მას დროებით გაუქმდება სტუდენტის სტატუსი და უნივერსიტეტიდან გარიცხვის პრობლემაც აღარ შეექმნება. თსუ-ის სტუდენტების მონაცემთა ბაზა სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ იხურება, რის შემდეგაც ასეთი სახის პროცედურის გავლა უკვე შეუძლებელი ხდება. ამის შესახებ ინფორმაციას თსუ-ის ყველა სტუდენტი ფლობს, მიუხედავად ამისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გარიცხვის კანდიდატების რაოდენობა მაინც დიდია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/6 ბრძანების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები ბრძანების გამოცემიდან ექვსი თვის შემდეგ დგება. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული წარმოების შემდეგ 296 სტუდენტი თსუ-დან გაირიცხება, აღნიშნული დროის მონაკვეთში მათთვის სტუდენტის სტატუსი შეჩერებულად ჩაითვლება. შესაბამისად 6 თვის განმავლობაში მათ უფლება ექნებათ მობილობის პროცესში მიიღონ მონაწილეობა. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი მიმდებარე უმაღლესი სასწავლებლის წესდებისათვის შეუთავსებელია. იგივეს ითვალისწინებს თსუ-ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი, შესაბამისად, სტუდენტს 6 თვის განმავლობაში სტატუსის შეწყვეტის მიუხედავად, შიდამობილობაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს.

# როგორ მოვახმაროთ საუნივერსიტეტო რესურსები სტუდენტებს

პირველი გვერდიდან

ალექსანდრე კვიციანიძე იყავა დასმულ შეკითხვას უპასუხა: „ეს პრობლემები თითქმის ყველა ფაკულტეტისთვის საერთოა. ამდენად, ამ მიმართულებით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვან ცვლილებებს განახორციელებს. გპირდებით, რომ ინგლისურენოვან უმაღლეს სასწავლებლებთან კონტაქტები გაიზრდება. ამ კუთხით უკვე დაიწყო მოლაპარაკებები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან. 80-90-იან წლებში თსუ-ს კარგი კონტაქტები ჰქონდა ამერიკულ კოლეჯებთან და უნივერსიტეტებთან, რისი აღდგენაც გვინდა. საჭიროა გავაძლიეროთ დასაქმების ოფისი, რომელიც პერმანენტულად მიაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დაწესებულებას წარმატებული სტუდენტებისა თუ კურსდამთავრებულების შესახებ. თქვენი შენიშვნების გათვალისწინებით, აუცილებელია ენების ცენტრის ფორმირება, რაც უახლოეს მომავალში განხორციელდება. შეიცვლება და გაუმჯობესდება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდება და გალამაზდება აუდიტორიები, სპორტული დარბაზები, ეზოები და ა.შ. ჩვენ ვგაქვს ის რესურსი, რომ თავად მოვიზიდოთ ფინანსები, რაც საშუალებას მოგვცემს ყველა პრობლემა მოვაგვაროთ“, — აღნიშნა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა.

## შეხვედრა იურიდიულ ფაკულტეტზე

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ ცვლილებები, რომელიც ფაკულტეტზე იგეგმება, მათი ინტერესების, მოსაზრებების და პრეტენზიების გათვალისწინებით განხორციელდება. ჩვენ ყველას ვგაქვს პრეტენზია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყოს ევროპული დონის სასწავლებელი, რომელიც მსოფლიო საუნივერსიტეტო ცხოვრების ნაწილი იქნება. თქვენი ფაკულტეტი ორგანიზებულია, კარგი სტუდენტური კონტინგენტით და ევროპულ სკოლებთან უამრავი კავშირებით ერთ-ერთი



საუკეთესოა უნივერსიტეტში. იმისთვის, რომ ევროპაში ერთერთი საუკეთესო უნივერსიტეტი გავხდეთ, საჭიროა სწორი ხედვა და პროცესებში აქტიური ჩართვა როგორც ადმინისტრაციისა და პროფესორის მხრიდან, ასევე სტუდენტების მხრიდანაც. თქვენ ხართ ის ძირითადი ბირთვი, რომელიც უნივერსიტეტის განვითარების პოლიტიკას განსაზღვრავს. სტუდენტი, რომელიც აქ სწავლობს, სასურველია, თავს ბედნიერად გრძნობდეს და ნაკლებად ფიქრობდეს ყოფით პრობლემებზე... თქვენ, ძირითადად, სწავლით უნდა იყოთ დაკავებული — ამის საშუალებას კი უნივერსიტეტი მოგცემს!“ — განაცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა.

ალექსანდრე კვიციანიძე აღნიშნა, რომ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, სხვა ფაკულტეტებისგან განსხვავებით, კარგად ინფორმირებულნი იყვნენ და, შესაბამისად, კითხვებიც ნაკლები იყო. ამისთვის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა მადლობა დაიხმასურა. სტუდენტებთან საუბარში რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ბიუროკრატიული ბარიერის თემასაც შეეხა. აღმოჩნდა, რომ ალექსანდრე კვიციანიძის სტუდენტების პრობლემების შესახებ, ძირითადად, ინტერნეტ-ფორუმების საშუალებით იყო ინფორმირებული და მან სწორედ იმ კითხვებს უპასუხა, რაც სტუდენტებს აწუხებდა. მისი აზრით, უნივერსიტეტში დროულად უნდა დაინერგოს ახალი ინტერნეტ-ტექნოლოგიები და ამ მიმართულებით სერიოზული ცვლილებები საჭიროა.

შუალედურ გამოცდებთან დაკავშირებულ კითხვებზე რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა სტუდენტებს იუმორით უპასუხა: ფორუმებზე, ძირითადად, ნუნუნის დინამიკა შეინიშნება. ერთი ჯგუფი მომზრდა, რომ საერთოდ გაუქმდეს შუალედური გამოცდები, მეორე ჯგუფი კი ამის წინააღმდეგაა და აღნიშნავენ, რომ შრომა დაუფასდა. სტუდენტები აპროტესტებენ, რომ გამოცდები მაღლივ კორპუსში მიმდინარეობს, რომ დილით გამოცდა აქვთ, საღამოს კი ლექცია, ან პირიქით და ამის

გამოიღლება — ეს არც თუ ისე უმნიშვნელო პრობლემები გასათვალისწინებელია. შუალედური გამოცდები არ გაუქმდება, თუმცა შევეცდებით, გავითვალისწინოთ თქვენი პრეტენზიები.

რაც შეეხება ცხრილებში საგნების დამთხვევის პრობლემას, ეს საკითხიც მალე დადებითად გადაწყდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაინერგება მიუნხენ-



ნის ტექნიკურ უნივერსიტეტში აპრობირებული პროგრამა, რომელიც ამ პრობლემას დაარეგულირებს“.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთანაც ისაუბრა დასაქმების პრობლემაზე, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე: „როგორც იცით, რემონტდება უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, შემდეგ დაიწყება მეორე კორპუსის რეაბილიტაცია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები აქტიურად დასაქმდნენ კორპუსებში გახსნილ ბიბლიოთეკებში, მაღაზიებსა თუ კაფე-ბარებში. ევროპის ქვეყნებში სტუდენტის დასაქმების ამგვარი მოდელი აპრობირებულია. ამით თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ ყოფითი პრობლემები მეტ-ნაკლებად მოაგვაროთ“.

## შეხვედრა მედიცინის ფაკულტეტზე

ალექსანდრე კვიციანიძისთვის, როგორც ჯანდაცვის ყოფილი მინისტრისთვის, უფრო ნაცნობ პრობლემებზე საუბარი გამოდგა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრა. როგორც გამოიკვეთა, სტუდენტებისთვის მთავარი პრობლემა კლინიკებში პრაქტიკის გავლა, რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელება და ტექნიკური აღჭურვილობით მომარაგების საკითხებია.

ალექსანდრე კვიციანიძე აღნიშნა, რომ როგორც კი საქართველოში სამედიცინო სექტორი დალაგდება, სტუდენტი ამ კლინიკების დამატებითი რესურსი გახდება ისევე, როგორც ეს მსოფლიოს სხვა ქვეყნებშია.

„რაც შეეხება რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელებას, მათი მომზადება დამოკიდებულია იმ ადგილების რაოდენობაზე, რომელიც კლინიკას აქვს. სამწუხაროდ, რაოდენობა ლიმიტირებულია. ეს ფუნდამენტური პრობლემაა, რაც განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებმა ერთობლივად უნდა მოაგვარონ. საქართველოში საავადმყოფოების რაოდენობა მცირდება, შესაბამისად, მცირდება რეზიდენტების რიცხვი. იმედი მაქვს, მომავალში სიტუაცია დარეგულირდება. ასევე, მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა კლინიკასთან, რათა იქ პრაქტიკის გავლის საშუალება გქონდეთ.“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი ქვეყანაში ერთ-ერთი წარმატებული ფაკულტეტია, რომელიც მა-

ღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებს და, ამდენად, ხელის შეწყობაცაა საჭირო. ამ კუთხით შემოიძლია ვთქვა ის, რომ დაიგეგმა ბიოლოგიის კორპუსის გარემონტება და მისი უახლესი აპარატურით აღჭურვა. უნივერსიტეტს აქვს მისი ფინანსური რესურსი, რომ სტუდენტის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილოს“, — აღნიშნა ალექსანდრე კვიციანიძე. რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა სტუდენტებთან საუბრისას განაცხადა, რომ მათი ურთიერთობა ამ შეხვედრებით არ შემოიფარგლება და მათთან ერთად იზრუნებს იმ ავტორიტეტის შენარჩუნებაზე, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დამსახურებულად მოიპოვა.

შურთხია ბეროშვილი

# მოხილვა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი ერასმუს მუნდუსი, რომლის სრულფასოვანი წევრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2007 წელს გახდა, ყოველწლიურად აძლევს საშუალებას თსუ-ის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტიურის სტუდენტებსა და მკვლევრებს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში მობილობის წესით რამდენიმე სემესტრი გაატარონ. ეს მათ საშუალებას აძლევს, გაეცნონ სწავლისა და სწავლების მეთოდებს, გაიფართონ ცოდნის არეალი და დაამყარონ კონტაქტები სხვა ქვეყნების წარმომადგენელ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან. სწორედ ამ მიზნით გამოაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კონკურსი ერასმუს მუნდუსის გარე-თანამშრომლობის ფანჯრის ფარგლებში მობილობის განაგრძების მოსაპოვებლად. ამჯერად გამოცხადებულია კონკურსი საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და კვლევითი

სტიპენდიების მოსაპოვებლად ბელგიის, ლატვიის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, ბულგარეთისა და პორტუგალიის უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებში.

საბაკალავრო სტიპენდიებიდან განსაზღვრულია: 3 სტიპენდია თსუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მე-3 დან მე-5 სემესტრის ჩათვლით, და 6 სტიპენდია დევნილის სტატუსის მქონე ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის (საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2010 წლის 10 დეკემბერი).

სამაგისტრო სტიპენდიებიდან: 2 სტიპენდია თსუ-ის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტებისთვის, 2 სტიპენდია საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის კურსდამთავრებულების ან მაგისტრატურის სტუდენტებისთვის და 5 სტიპენდია დევნილის სტატუსის მქონე ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისთვის ან/და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის

(საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2011 წლის 31 მაისი).

სადოქტორო სტიპენდიებიდან: 1 სტიპენდია თსუ-ის მაგისტრატურის კურსდამთავრებულების ან/და თსუ-ის დოქტორანტურის სტუდენტებისთვის (ბოლო ვადა 2010 წლის 10 დეკემბერი); 2 სტიპენდია საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურის კურსდამთავრებულება ან/და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის; 4 სტიპენდია დევნილის სტატუსის მქონე დოქტორანტურის სტუდენტთა ან/და მაგისტრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებისთვის (ბოლო ვადა 2010 წლის 31 დეკემბერი);

ამავე პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულია კონკურსი: 1 სტიპენდია თსუ-ის მკვლევარებისთვის (ბოლო ვადა 2010 წლის 17 ნოემბერი) და 1 სტიპენდია საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების მკვლევარებისთვის (ბოლო ვადა 2010 წლის 20 ნოემბერი).

ყველა შესარჩევი კონკურსი ტარდება ერთ ეტაპად, თსუ-ის რექტორის მიერ აღმინისტრაციული აქტით დამტკიცებულ შესარჩევ კომისიასთან გასაუბრების სახით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის თეა გერგედავას თქმით, მობილობის კონკურსში მონაწილე კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს უცხო ენას, უნდა იყოს მოტივირებული და ჰქონდეს კარგი აკადემიური მოსწრება.

„აუცილებელია ფიზიკური და ფსიქოლოგიური მზადყოფნა უცხო ქვეყანაში საცხოვრებლად. ამასთანავე, კანდიდატის სპეციალობა უნდა შეესაბამებოდეს მიმღები უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ პროგრამებს“, — განაცხადა მან.

ერასმუს მუნდუსის ბენეფიციარების მობილობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ანაზღაურებს ერასმუს მუნდუსის გარე თანამშრომლობის ფანჯარა.



# პოლიტიკა ვერ იმორჩილებს საღ გონებას

21-23 ოქტომბერს გერმანიის ქალაქ კიოლნი კიოლნის უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფესორ ანგელეკა ნუსბერგერის ინიციატივით მოეწყო სტუდენტური სემინარი „საერთაშორისო სამართლის როლი კონფლიქტების მოგვარებაში, სამშვიდობო ღონისძიებები ex ante და ex post“. სემინარი არამარტო განსახილველი საკითხის აქტუალობითა და სირთული იპყრობს ყურადღებას, არამედ კიდევ უფრო საინტერესოა მასში მონაწილეთა ვინაობა. ორგანიზატორი მხარის — გერმანიის გადაწყვეტილებით სემინარში მონაწილეობის მისაღებად შეირჩნენ საქართველოს, რუსეთის და თავად მასპინძელი მხარის წარმომადგენლები. ამ სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა ერთად შეკრება და პრობლემატურ საკითხებზე დიალოგის წარმოება გარკვეული საფრთხის შემცველი იყო საქართველო-რუსეთის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სემინარმა ხელი შეუწყო არამარტო რუსეთის ხელისუფლების მიერ საერთაშორისო სამართლის საკითხების აშკარად არასწორი ინტერპრეტაციისთვის ნათელის მოფენას, არამედ გახდა საინფორმაციო იმისა, რომ დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია ვერაფერს ვერ დააკლებს ერთაშორის ურთიერთობებს, როდესაც ერთ მხარესთან სხდებიან რაციონალურად მოაზროვნე მონაწილედგე მხარეთა წარმომადგენლები. საინტერესოა, რომ საქართველოს დელეგაცია, რომელიც 7 წევრისაგან შედგებოდა, მთლიანად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მიმართულების პროფესორებითა და სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული. დელეგაციის ხელმძღვანელი გახლდათ თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე და მისი თანამშრომელი, ასისტენტ-პროფესორი მარიამ კვეციანი. სტუდენტებიდან კი სემინარში მონაწილეობის მისაღებად 5 კანდიდატი შეირჩა: ნინო საგინაშვილი, ნინო ფარსადანიშვილი, ეკატერინე მემელიანი, მარიამ მაისურაძე, დავით ჯაიანი.

საინტერესოა სემინარში მონაწილე სტუდენტების შთაბეჭდილებები და მოსაზრებები:

■ **ნიმუ საბინაშვილი:** კიოლნის სემინარი არის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მოგონება და ნაყოფიერი გამოცდილება ჩემს ცხოვრებაში. პირველ რიგში, მინდა, აღვნიშნო ის მეგობრული გარემო, რაც სუფევდა სემინარის ბოლო წუთებამდე: მუდმივად იგრძნობოდა მოსამართლეების, პროფესორებისა და სტუდენტების მხრიდან მხარდაჭერა. კიოლნის სემინარის უდიდესი მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ მან ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებას რუს და ქართველ მონაწილეთა შორის. სემინარის წარმატებით დასრულებამ წარმოაჩინა, რომ პოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად, რაც დღეს სუფევს რუსეთსა და საქართველოს შორის, არსებობს დიდი პოტენციალი იმისა, რომ განვითარდეს მეგობრული და კარგი მეზობლური ურთიერთობები ამ ორ ერს შორის.

კიოლნის სემინარი იყო, ასევე, მნიშვნელოვანი გამოცდილების მომტანი, რამეთუ გვექონდა ბრწყინვალე შესაძლებლობა შეგვედროდით საერთაშორისო სამართლის წამყვან ექსპერტებს.

■ **ნიმუ ფარსადანიშვილი:** მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა გავმხდარიყავი იმ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე, რასაც კიოლნის სემინარი წარმოადგენს, რადგანაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო სამართლის მომავალმა სპეციალისტებმა გავიაზროთ და გავითვალისწინოთ ის მნიშვნელობა, რაც



ამ დარგის განვითარებისათვის აქვს საერთაშორისო ურთიერთობების წარმოებას. საქართველო-რუსეთის პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე ორმაგად სასარგებლოა მსგავსი ტიპის სემინარების ჩატარება, რადგანაც ნებისმიერი კონფლიქტის პრევენცია და პოსტკონფლიქტური დაძაბულობის განმუხტვა სწორედ მხარეთა შორის დიალოგით მიიღწევა. კიოლნის სემინარის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოიხატება ასევე იმაში, რომ მან ხელი შეუწყო არამარტო უფროსი თაობის გამოცდილი ექსპერტებს შორის მოსაზრებათა ურთიერთგაცვლას, არამედ უზრუნველყო მომავალი თაობის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება. ჩემი მოხსენება ეხებოდა ერთი სახელმწიფოს მიერ მისი იურისდიქციის ქვეშ არ მყოფი ტერიტორიის დაუფლების სამართლებრივ შედეგებს და, როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩემმა რუსმა კოლეგამ ჩემს მოსაზრებას მხარი აუბა და აღნიშნა, რომ მისთვისაც მიუღებელია ნებისმიერი სახის სხვისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფა.

■ **ეკატერინე მემელიანი:** ჩემი აზრით, კიოლნის სემინარი იყო ერთგვარი ექსპერიმენტი, გამომდინარე იქიდან, რომ ერთ მხარესთან ვისხედით ქართველები, რუსები და გერმანელები (ნეიტრალური მხარე). საუბარი მიმდინარეობდა სამშვიდობო მისიებზე და დავების გადაწყვეტაზე. სემინარი საკმაოდ ინფორმაციული გახლდათ, გაიმართა დებატები, ყველას საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებზე, მაგალითად, კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობასთან დაკავშირებით, საქართველოს და გერმანიის წარმომადგენლებს ერთნაირი შეხედულებები გვაქვთ.

საბოლოო ჯამში, ვთვლი, რომ ექსპერიმენტმა გაამართლა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ბოსნია-ჰერცეგოვინას და სიერა ლეონეს ad hoc სასამართლოს მოსამართლეების ლექციამ, რომელთაც საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარეს და სხვა კუთხით დაგვანახეს სასამართლოში მუშაობის სირთულეები.

■ **მარიამ მაისურაძე:** ვფიქრობ, სემინარის ძირითადი მიზანი იყო ქართველი და რუსი სტუდენტების შეხვედრა და დაახლოება, მსგავსი პრობლემატურ საკითხებზე (ოლინდ ზოგად ასპექტში) რათა, მივსულიყავით რაიმე საერთო დასკვნამდე. სემინარში მონაწილეობამ შემიძინა გამოცდილება კონფლიქტში მყოფი ქვეყნების წარმომადგენლებთან, კერძოდ, რუსეთის სტუდენტებთან საერთო ენის გამოხატვა საქართველოსთვის სასიცოცხლო პრინციპების დაცვით. გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი - ცნობილი მეცნიერები და მოსამართლეები.

■ **დავით ჯაიანი:** პრეზენტაციები ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა (რუსულად მხოლოდ ორი პრეზენტაცია იყო) და საშუალება გვექონდა სხვადასხვა ქვეყნების საერთაშორისო სამართლის სკოლების მიდგომებს გავცნობოდით. განსაკუთრებით გერმანული. რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესო იყო რუს სტუდენტებთან შეხვედრა და შეხედულებების გაზიარება. ფორმატი ძალიან ეფექტური იყო - პროფესიონალი თეორიტიკოსების, ნამყვანი პროფესორებისა და ექსპერტების, პრაქტიკოსი იურიტების, ასევე, სამივე საფეხურის სტუდენტების აქტიური ჩართულობა. სემინარის მიმდინარეობისას შეიქმნა საინტერესო საემუშაო გარემო, რაც საშუალებას იძლეოდა — საკითხი აღვეყვე და დაგვემუშავეთინა ყველა შესაძლო ჭრილში.

პროფესორ ლევან ალექსიძის აზრით, მსგავსი ტიპის ღონისძიებებმა სისტემატური ხასიათი უნდა მიიღოს, რადგანაც პოლიტიკურ და სამხედრო კონფლიქტში ჩართული სახელმწიფოების სტუდენტებმა და მასწავლებლებმა პირველწყაროსაგან მიიღონ ჭეშმარიტი ინფორმაცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მუდმივად განხილვის თემას წარმოადგენს.

„არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ჩვენი სტუდენტების ინგლისური ენის შესანიშნავმა ცოდნამ ყველა მონაწილეს ალფრთოვანება გამოიწვია, რაც საგანგებოდ აღინიშნა კიდევ. ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რაოდენ მართალი ვიყავი, როდესაც დიდი ძალისხმევითა და იურიდიული ფაქულტეტის დეკანის, პროფესორ ირაკლი ბურდულის მხარდაჭერით მივალნიე, რომ საერთაშორისო სამართლის მიმართულების სტუდენტებისთვის უცხო ენის შესწავლა უფრო გაღრმავებული და სპეციფიკური ტერმინოლოგიის შემცველი პროგრამით მომხდარიყო“, — აღნიშნა ლევან ალექსიძემ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ, კიოლნის უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა ანგელეკა ნუსბერგერმა წერილი გამოგზავნა, რაშიც კიდევ ერთხელ უხდოდა მადლობას პროფესორ ლევან ალექსიძეს სემინარში მონაწილეობისთვის და აღნიშნავდა, რომ მისმა „ღრმა ისტორიულმა ცოდნამ და პირადმა გამოცდილებამ საერთაშორისო სამართლის განვითარებაში განსაკვირვარ სემინარის ყველა მონაწილე“. პროფესორმა ნუსბერგერმა, ასევე, გამოყო ქართველ სტუდენტთა ბრწყინვალე პრეზენტაციები და აღნიშნა, რომ „ქართველ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა მომავალი თაობა ისეთივე იმედის მომცემია, როგორც მისი წინამორბედი“.

## თსუ-ის საპატიო დოქტორის ნოდების მფლობელი

### შურისია ბაროშვილი



„ჩემთვის დიდი პატივია იმ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევა, რომელსაც დიდი ხნის სახელმწიფო ტრადიცია გააჩნია აკადემიურ სფეროში და წარმოადგენს უძველეს უმაღლეს სასწავლებელს კავკასიის რეგიონში. მსურს, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც აქტიური როლი ითამაშა ჩემთვის ამ ნოდების მინიჭებაში“, — განაცხადა შურისი ბაროშვილი მეცნიერებათა უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა კარლ-პიტერ ზომერმანმა, რომელსაც 17 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ნოდება მიენიჭა. ღონისძიებას თსუ-ის პროფესორები, სტუდენტები და სხვადასხვა გერმანული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მონაწილე სტუმრები დაესწრნენ.

პროფესორი ზომერმანი ხელმძღვანელია თსუ-ის სამაგისტრო პროგრამის — „საჯარო მმართველობა“. თბილისის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტისა და შპაიერის (გერმანი) ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთობლივი ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა 2009 წლის დეკემბრიდან ხორციელდება. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი ორიენტირებულია ადმინისტრაციული მეცნიერების კვლევაზე. გააჩნია მდიდარი გამოცდილება საჯარო მოხელეთა მომზადებასა და გადამზადებაში. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მიზანია საქართველოში სახელმწიფო მმართველობის სფეროში ევროპული სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება.

„2009 წლის დეკემბერში დაწყებული სამაგისტრო პროგრამა იმავე ტრანს და ინტერდისციპლინურ მიმართულებას მიჰყვება, მაგრამ შპაიერის პროგრამის ასლი კი არ არის, არამედ საქართველოს საჯარო სამსახურის სპეციფიკურ საჭიროებებზე და მიზნებზეა მორგებული. ლექციები იკითხება გერმანული და ქართველი პროფესორების თანაბარი მონაწილეობით. ეს პროგრამა

შპაიერში საზაფხულო სკოლასა და საზღვარგარეთ პრაქტიკასაც გულისხმობს და მისი თანადამფინანსებელია ფოლკსვაგენის ფონდი. მადლობელი ვარ იმ გერმანელი და ქართველი კოლეგებისა, ვინც მონაწილეობს ამ პროგრამაში, განსაკუთრებით, იურიდიული ფაქულტეტის დეკანის ირაკლი ბურდულისა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ამ პროგრამის პოპულარიზაციის საქმეში. მადლობა ეკუთვნის ასევე პროფესორებს: პაატა ტურავას, ირაკლი კობახიძეს და სხვებს, რადგან ჩემი არჩევა საპატიო დოქტორად ამ ადამიანების შრომის დაფასებაცაა, ვინც ამ პროგრამაშია დაკავებული.

კარლ-პიტერ ზომერმანმა იმედი გამოთქვა, რომ თსუ-ის სამაგისტრო პროგრამა ახლადდაიწყო რექტორის მხარდაჭერით კვლავაც გაგრძელდება.

შეხვედრის ბოლოს გერმანელმა მეცნიერმა ნაიკითხა ლექცია თემაზე: „სამართლებრივი სახელმწიფო და საჯარო მმართველობა“, რის შემდეგაც გაიმართა დისკუსია. პროფესორმა ზომერმანმა სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებსაც უპასუხა.

# კავკასიური ცივილიზაცია – ისტორია და თანამედროვეობა

## კავკასიოლოგია II საერთაშორისო კონგრესი

ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი არნოლდ ჩიქობავა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ასაბუთებდა კავკასიოლოგია საერთაშორისო კონგრესის დაარსების აუცილებლობას. ამ ამოცანის განხორციელება კავკასიოლოგებმა მხოლოდ XXI საუკუნის დასაწყისში შეძლეს. კონგრესის დაარსების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო საქართველო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კერძოდ, კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, რომელმაც ხორცი შეასხა დიდი მეცნიერის ჩანაფიქრი. 2007 წლის 22-26 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად გამართა კავკასიოლოგთა I საერთაშორისო კონგრესი, რომლის თემა იყო „კავკასიური ცივილიზაცია მახლობელი აღმოსავლეთის ლინგვოკულტურულ კონტექსტში“. 2009 წელს თსუ-ის კავკასიოლოგიურმა ინსტიტუტმა კავკასიოლოგთა I საერთაშორისო კონგრესის მასალების საფუძველზე დააარსა სამეცნიერო საერთაშორისო სამეცნიერო ყოველწლიური ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“.

2010 წლის 9-12 ნოემბერს კი უნივერსიტეტში კავკასიოლოგთა II საერთაშორისო კონგრესი გაიმართა. კონგრესი გახსნა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიციანიძემ. კონგრესის მონაწილეებსა და სტუმრებს მისალმნენ: თ. გამყრელიძე (თბილისი), ი. დადავი (მაჰაჩყალა), ს. სალოვიოვა (მოსკოვი), თ. ახუნდოვი (ბაქო), ა. ხალიდოვი (გროზო), ა. ტანკიევი (მაგასი), ა. თადევოსიანი (ერევანი), ვ. ბესოლოვი (ვლადიკავკაზი), პ. კრაგი (კოპენჰაგენი), ლ. ეზუგბაია (თბილისი), ვ. შენგელია (თბილისი). კონგრესის გახსნის შემდეგ ნაჩვენებ იყო დოკუმენტური ფილმი „კავკასიოლოგთა I საერთაშორისო კონგრესი“. პლენარული სხდომა მიეძღვნა პროფესორ მიხეილ ქურდიანის ხსოვნას. კონგრესის თანამონაწილე ორგანიზაციამ — არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა უმასპინძლა კონგრესის 6 სექციას სამი დღის განმავლობაში.

კონგრესში მონაწილეობდნენ 21 ქვეყნის სამეცნიერო კავკასიოლოგიური სკოლების წარმომადგენლები; მეზობელი ქვეყნები: აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, რუსეთის ფედერაცია, ევროპისა და აზიის ქვეყნები, აშშ. სულ წარმოდგენილი იყო 190 მოსწესნება. კონგრესი ზემდინდებით პასუხობდა თანამედროვე მითხროვნებს და მისდამი ინტერესი ძალიან დიდი იყო. მის გახსნას დაესწრნენ საზოგადო მოღვაწეები, პოლიტოლოგები და პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები.

პოლიტიკური, პოლიკონფესიური, მულტიგენდერული კავკასია თავისი სტრატეგიული მნიშვნელობით მეცნიერობა და პოლიტიკოსთა ყურადღების საგანი ხდება. კავკასია, როგორც ბუფერული ზონა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შეჯახების არენად იქცა, განსხვავებით სხვა რეგიონებისაგან. კავკასიაში დაკარგა გეოპოლიტიკურ-ეკონომიკური მთლიანობა. ცენტრალური კავკასიის ქვეყნები კი დამოუკიდებლობის მოპოვების სანაცვლოდ „ისჯებიან“ და ირყევიან ფსევდოეთნოკონფლიქტებით.

როგორია თანამედროვე კავკასია? როგორი იქნება იგი მომავალში? ამ კითხვების პასუხად იქმნება ახალი შეხედულებები ამ რეგიონის განვითარების პერსპექტივების შესახებ. ცენტრალური კავკასიის მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციები გადამწყვეტ როლს თამაშობს ინტეგრაციის პროცესში. აქ იკვეთება ორგანიზაციის მდგომარეობა: I — ეს იქნება ახალი ერთიანი კავკასია თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებაში თუ II — ეს იქნება ძველი ინტეგრაციული მოდელის ახალი მოდიფიკაცია. Hard Land — ცენტრალური კავკასია აუცილებლად გადამწყვეტ როლს შეასრულებს კავკასიის ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ სივრცედ ჩამოყალიბების, რეგიონალიზაციის ანუ შიდა ინტეგრაციის პროცესში. ხოლო იმის განსაზღვრად, თუ როგორი შეიძლება იყოს უახლოეს მომავალში ინტეგრაციის ვექტორები, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში კავკასიის ცენტრალიზებული მართვის მოდიფიკაციები. ამ საკითხის ისტორია გვიდასტურებს, რომ მიუხედავად წინააღმდეგობრივი ტენდენციებისა, ისტორიის მანძილზე მაინც ყალიბდებოდა ინტეგრაციული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები მართვის სისტემებით, როგორც დამოუკიდებლობის პერიოდში, ასევე მამონაც, როცა კავკასია სხვადასხვა იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. რეგიონის ინტეგრაციის კანონზომიერებაზე მიგვიჩვენებს როგორც ისტორიული გამოცდილება, ასევე თანამედროვე გლობალიზაციის პრინციპები. კავკასიის ერთიანი სახლისა და ერთიანი ბაზრის საკითხის პერმანენტული წამოჭრა კავკასიის ერთიანობის ისტორიული ჭრილითა და თანამედროვეობის მოთხოვნებითაა შეპირობებული.

კავკასიოლოგთა II საერთაშორისო კონგრესის თემა „კავკასიური ცივილიზაცია — ისტორია და თანამედროვეობა“, რომლითაც უნდა განისაზღვროს, თუ როგორი იქნება XXI საუკუნის დასაწყისში კავკასიის რეგიონალიზაციის პრინციპები, ფორმები და მეტოდები. მიგვანჩნია, რომ გეოპოლიტიკური ნიშნებით რეგიონის ინტეგრაცია, რომელი მხრიდანაც არ უნდა განხორციელდეს იგი, მიყვებ იქნება, თუ იგი არ დაეფუძნება გეოეკონომიკურ და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, კულტურულ-ცივილიზაციურ საბაზო სტრუქტურულ ელემენტებს, რომელთა საფუძველზე ჩადებულია დემოკრატიული,

და თანამედროვეობა, მომავლის პერსპექტივები; კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარების მეცნიერული პროგნოზი; კულტურული და რელიგიური იდენტობის პრობლემათა აქტუალიზაცია პოსტსაბჭოთა პერიოდში; „მშვიდობიანი კავკასიის“ იდეა ცივილიზაციათა დიალოგის კონტექსტში და მისი სამოქალაქო, ეთნორელიგიური და ლინგვოკულტურული საფუძველები.

კონგრესის მუშაობის შედეგად გამოიკვეთა დასახულ პრობლემათა გადაჭრის გზები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში, კავკასიური ცივილიზაციის შესწავლის ისტორია და, რაც მთავარია, თანამედროვეობა, რთულ გეოპოლიტიკურ არეალში საფრთხეების არსებობის პირობებში მშვიდობიანი თანაარსებობის ძირითადი მექანიზმები — სამოქალაქო, ეთნორელიგიური, ლინგვოკულტურული ერთობის მოდელი — კავკასიური იდენტობის ძირითადი მახასიათებელი.

ევროპის აღმოსავლელი გუშაგის — კავკასიური ცივილიზაციის — წინაშე არსებული საფრთხეები და რისკები ბუნებრივად ბადებს კითხვებს: როგორ უნდა შეერწყას გლობალიზმს უნივერსალიზმი? როგორ უნდა შეერწყას ტრადიციული და ინოვაციური? როგორ უნდა შეერწყას უნივერსალური და ინდივიდუალური?

ჩვენი აზრით, კავკასიური ცივილიზაციის შენახვა და მოდერნული ტრანსფორმაცია, მისი მშვიდობიანი არსებობა შესაძლებელია მხოლოდ ამბივალენტურობით — ანუ უნივერსალურისა და ინდივიდუალური შერწყმით. ვერც მხოლოდ გლობალიზაცია და ვერც მხოლოდ მულტიკულტურალიზმი ცალ-ცალკე აღებული ვერ იქნება პერსპექტივა ლოკალური ცივილიზაციისათვის, მითუმეტეს, როცა ამ ხალხების ბედი ნაწილობრივ გარეშე ძალებით არის განსაზღვრული.



შესაძლებელია თუ არა დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოების მიღწევა თანამედროვე მულტიკულტურულ საზოგადოებაში? შეიძლება დღეს ჩვენ ამ კითხვებზე პასუხი არა გვაქვს, მაგრამ ჩვენ გვჭირდება განაწილებით ჩვენი ცხოვრება. ეს მოგვცემს შესაძლებლობას, ვიპოვოთ გამოსავალი. ინოვაცია — შეცვლის მცდელობაა. სადაც ის არ არის, არ არის პერსპექტივა. როგორია ის კონდიცია, რომელიც გააჩნის ანორებს ნაციონალიზმს და კოსმოპოლიტიზმს? ნაციონალიზმი იდენტიფიკაციის საშუალებაა (კულტურა, ლინგვისტიკა, რიტატი სხვისგან განსხვავდება, იგი იდეოლოგიისა და პოლიტიკის ნაზავია და იწვევს სენტიმენტალურ გრძნობებს, ემოციებს. კოსმოპოლიტიზმი კი თავისუფლების, ადამიანთა უფლებების ეთნიკურობის კომპონენტებს შეიცავს და მას ეჭვით ვუყურებთ. თუ მოდერნიზაციის სახეს გეოგრაფია და გეოპოლიტიკა განსაზღვრავს, თუ მსოფლიო ისედაც დგას რისკის წინაშე, როგორი იქნება მოდერნული, ტრანსფორმირებული კავკასიის იდენტურობის ბედი, როგორი იქნება კულტურის ლინგვისტიკა? როგორ განხორციელდება კავკასიური ცივილიზაციის ინტეგრაცია: მულტიკულტურალიზმით; ადამიანის უფლებათა დაცვით და ტრადიციონალიზმით. შესაძლებელია თუ არა კავკასიური ხალხების ინტერესთა კონფლიქტების მშვიდობიანი, ჰუმანიტარული გადაჭრა? და ბოლოს, შესაძლებელია თუ არა კავკასიელთა იდენტურობის შენარჩუნება ამგვარი რისკების ფონზე? ჩვენი აზრით, ეს ყოველივე შესაძლებელია. შეიძლება იგი დღეს ჩვენ უტოპიად გვეჩვენებოდეს, უტოპიის რეალობად ქცევის

შესაძლებელია კი შორს არის ჰორიზონტზე, მაგრამ ორი ნაბიჯითაც თუ მივუახლოვდებით მას, ეს უკვე პერსპექტივაა. თანამედროვე კვლევებით მოპოვებული მიღწევების კვალდაკვალ კონგრესმა გააერთიანა კავკასიოლოგიის პრობლემათა შემსწავლელი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგები და, შესაბამისად, განსაზღვრა კავკასიელი ხალხების სოციალურულ-ეთნობის როლი და ადგილი მსოფლიო კულტურათა დიალოგის კონტექსტში. XX საუკუნიდან საქართველო არის კავკასიოლოგიის ცენტრი საერთაშორისო მასშტაბით. აქ ერთიანდება ყველა ჰუმანიტარული დარგი, რომლებიც შეისწავლიან კავკასიის ა) ლინგვისტიკა: იბერიულ-კავკასიური, პალეოკავკასიური, არეალური, ზოგადი და თეორიული, სოციოლინგვისტიკა; ბ) კავკასიის ხალხთა ისტორია; გ) არქეოლოგია, კულტუროლოგია, ხელოვნება; დ) ეთნოლოგია; ე) ფოლკლორი, ლიტერატურა; აქ ერთიანდება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კავკასიოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები და მათი მეცნიერული სიახლეები. ხდება მეცნიერ-კავკასიოლოგთა კონსოლიდაცია, თავს იყრის სხვადასხვა ქვეყნის კავკასიოლოგიური სამეცნიერო და სასწავლო პრობლემატიკა; ერთიანდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კავკასიოლოგები კავკასიაში მშვიდობის დამყარების საქმეში.

ქართულ-კავკასიური მეგობრობის ბალავარი ათასწლეულების მიღმა ჩაიკირა. XX საუკუნეში არნოლდ ჩიქობავას მიერ დაარსებულმა ლინგვისტურმა სკოლამ კი ფასდაუდებელი ღვაწლი შეიტანა იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის საქმეში. კონგრესის საბოლოო შედეგები აისახა პუბლიკაციებში და უფრო სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი ჟურნალ „კავკასიოლოგიური ძიებანის“ II ნომერში, რომელიც უახლოეს ხანში გამოიცემა. კონგრესის მუშაობის შედეგად გამოიკვეთება დასახულ პრობლემათა გადაჭრის გზები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში, რათა შემდგომში განისაზღვროს კავკასიური ცივილიზაციის შესწავლის ისტორია და, რაც მთავარია, თანამედროვე მდგომარეობა, განისაზღვროს რთულ გეოპოლიტიკურ არეალში საფრთხეების არსებობის პირობებში მშვიდობიანი თანაარსებობის ძირითადი მექანიზმები — სამოქალაქო, ეთნორელიგიური, ლინგვოკულტურული ერთობის მოდელი — კავკასიური იდენტურობის ძირითადი მახასიათებელი.

მოდერნული შედეგებით გაღრმავდება მეცნიერთა კავშირთა ერთობები კავკასიის რეგიონისა და საერთაშორისო მასშტაბით; მეცნიერთა დასკვნებით და დებულებებით ისარგებლებენ პოლიტიკოსები და არასამთავრობო ორგანიზაციები რეგიონში არსებულ პრობლემათა გადაწყვეტისას; მეცნიერთა კვლევების შედეგები დაეხმარება კავკასიაში მცხოვრებ ეთნოსებს მშვიდობიანი თანაცხოვრების მისაღწევად; მეცნიერთა დასკვნებს გამოიყენებენ საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრები შემდგომ კვლევებში.

მართალია, კავკასიურ ენებზე მოსაუბრე ეთნოსები ამჟამად სხვადასხვა პოლიტიკურ სივრცეში არიან, მაგრამ ამ ერთობის ლინგვისტიური მოდელი: იბერიულ-კავკასიური, არეალურ-კავკასიური და პალეოკავკასიური ენათმეცნიერება ამ ხალხების ერთობის მეცნიერული საფუძველია. კონგრესს თანახმადა კულტურული ღონისძიებები: კონგრესის მონაწილეებმა დაათვალიერეს მცხეთა, დავით გარეჯის სიღნაღი, სახელმწიფო მუზეუმი.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოკავკასიელი კოლეგები ახლად გახსნილი ღარის გამშვები პუნქტით შემოვიდნენ საქართველოში და ამავე გზით დაბრუნდნენ სამშობლოში. კონგრესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააფინანსა, რისთვისაც კონგრესის მონაწილეებმა დაათვალიერეს უხდიან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

მომდევნო — კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი სამი წლის შემდეგ გაიმართება, ჩრდილოკავკასიაში სტამბოლური მდგომარეობის შემთხვევაში მისი მასპინძელი იქნება დაღესტნის რესპუბლიკა.

საერთაშორისო კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

# ჯარისკაცი მეცნიერებაში



ნათქვამია, ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება, მაგრამ ზოგჯერ ისე აეწყობა ყველაფერი, რომ სწორედ შემთხვევითობა განაპირობებს ადამიანის მომავალსაც და წარმატებასაც. ასე რომ არ ყოფილიყო, დღეს ბატონ ნუგზარ ალექსიძეზე ვისაუბრებდით არა როგორც ცნობილ ნეირობიოლოგსა და ასტრობიოლოგზე, არამედ როგორც მუსიკოსსა და კომპოზიტორზე. თავად მიიჩნევს, რომ მისი ადგილი მუსიკაში უფრო იყო, ვიდრე ბიოლოგიაში, მაგრამ იმასაც აღიარებს, რომ, სადაც უნდა ყოფილიყო, პრომისმოყვარეობის გამო, ყველგან წარმატებული იქნებოდა.

## მაია ტორაძე

„სკოლაში ფრიადოსანი მოსწავლე ვიყავი. პარალელურად ვსწავლობდი მეშვიდე მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც საკმაოდ დიდი წარმატებები მქონდა და ამიტომ გადამიყვანეს ნიჭიერთა ათწლეულში ვიოლინოს განხრით, საიდანაც, დიმიტრი არაყიშვილის რეკომენდაციით, კონსერვატორიაში, ანდრია ბალანჩივაძესთან მოვხვდი. ბატონმა ანდრიამ ბიძინა კვერნაძეს ჩააბარა ჩემი თავი და მომავალიც გარკვეულწილად თითქოს დავეგებე... მეურ რალაც შეიცვალა... თავდაპირველად მოსკოვში მსურდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ რადგანაც ეს იყო 1953 წელი, როცა სტალინი გარდაიცვალა და სიტუაცია დაიძაბა, გადავიფიქრე... სკოლის დამთავრების ოქროს მედალი მამას დავეუბრე, სადაც გინდა შეიტანე საბუთები-მეთქი და თავად ზღვაზე წავედი და სასვენებლად. ცოტა ხანში მივიღე დეპეშა — ჩარიცხული ხარ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის ფაკულტეტზეო. მაშინ სასოფლო ძალიან პრესტიჟულ ინსტიტუტად ითვლებოდა. მასწავლებლები ძალიან ცნობილი პროფესორები ნიჭიერი იყვნენ, ფირცხალავა, გერასიმოვი, ყანჩაველი და სხვები. საოცარი ის იყო, რომ, რომელ მათგანსაც კი ჩავაბარე საგანი, ყველა მეუბნებოდა, სასოფლოში რა გინდოდაო და მეც ვპასუხობდი — აქ დიდხანს არ გავჩერდები-მეთქი. ერთ მშვენიერ დღეს, მართლაც, გადავწყვიტე სასოფლოდან წამოსვლა და უნივერსიტეტში პროექტორ ილო გვერდნიელთან შევედი განცხადებით. ცხადია, ის უნივერსიტეტში ჩემი გადმოსვლის მიზეზზე მეტად და მეც ვუპასუხე, რომ მეცნიერება მაინტერესებდა. გვერდნიელმა ჩაიღიმა — ვნახოთ ერთი, რა მეცნიერება გაინტერესებსო... ასე ჩავირიცხე ბიოლოგიის ფაკულტეტზე“, — გაიხსენა ბატონმა ნუგზარმა.

ამ ხმამაღალი განცხადების გამო, ახლად გადმოსული სტუდენტის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გაჩნდა და პროფესორ ქსენია ცხაკაიას ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტმა ახალგაზრდა პერსპექტიული კადრი შეიძინა.

## ბიოქიმიის მეცნიერულ ლაბორატორიაში

ნუგზარ ალექსიძის პირველი სერიოზული სამეცნიერო კვლევა თუთის ფოთლებზე მიკროელემენტების გავლენას შეეხებოდა. მოგვიანებით მან აღმოაჩინა ქლოროფილის თავისუფალი ფორმა, რისთვისაც ლენინგრადში ფოტოსინთეზის ცნობილ სპეციალისტთან, საპოჟნიკოვთან მიაგლინეს. ცხადია, როცა ჯერ კიდევ სტუდენტს ასეთი დონის მეცნიერებთან გეძლევა ურთიერთობის საშუალება, გიჩნდება ამბიციაცია — შენი წვლილი შეიტანო მეცნიერებაში. ბატონმა ნუგზარმაც მყარად გადაწყვიტა — სერიოზული განაცხადი გაეკეთებინა ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მას მრავალი შეთავაზება ჰქონდა, მაგრამ როგორც თავად ამბობს, არც ერთმა ნინადადებამ არ დაინტერესა. სწორედ აქ ითამაშა შემთხვევითობამ დიდი როლი მისი მომავლის განსაზღვრაში:

„ერთ დღესაც უნივერსიტეტთან აკადემიკოსი პეტრე ქომეთიანი შემხვდა და მკითხა, რას ვსაქმიანობდი. როცა გაიგო, რომ არ ვმუშაობდი, თავისთან, ივანე ბერიტაშვილის კათედრაზე, ბიოქიმიის ლაბორატორიაში დამიბარა და მეორე დღესვე შემახვედრა ბატონ ივანეს, რომელმაც ბიოქიმიის მიმართულებით სალექციო ასისტენტად მიმიღო ფიზიოლოგიის კათედრაზე. პირველი, რაც მაშინ გავაკეთე, იყო პეტრე ქომეთიანის ჰიპოთეზის დამტკიცება, რომ ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალს დიდი მნიშვნელობა აქვს მემბრანული პოტენციალის ფორმირებაში. ეს ექსპერიმენტულად ვაჩვენე არა მარტო იმით, რომ ამ პოტენციალს ვინერდი, არამედ გუნთის გადაცემის დონეზე ვაჩვენე თუ როგორ იზრდება პოტენციალი და როგორ კავდება კუნთის შეკუმშვა. ამის შემდეგ, როდესაც იგი გადავა ლეიკოფორმაში, კუნთი ისევ იწყებს შეკუმშვას. ბატონმა პეტრემ ეს ჰიპოთეზა სხვადასხვა კონფერენციაზე გაიტანა და დიდი ყურადღება დაიმსახურა“, — გაიხსენა ბატონმა ნუგზარმა.

პირველი წარმატების შემდეგ ნუგზარ ალექსიძემ სერიოზული მუშაობა დაიწყო მეხსიერების ბიოქიმიურ საკითხებზე, რადგანაც ნეიროქიმიით დაინტერესდა. 1966 წელს მან აკადემიკოს პეტრე ქომეთიანთან თანაავტორობით გამოაქვეყნა მონოგრაფია „მეხსიერების ბიოქიმიური საფუძვლები“. ეს გახლდათ ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელშიც გამოითქვა მოსაზრება ხანგრძლივი მეხსიერების კონსოლიდაციის პროცესში დროებითი ინფორმაციული ნეირონული კავშირების ფორმირების მიზნით ნეიროსპეციფიკური ცილებისა და მემბრანული ენზიმების ინდუქციური სინთეზის წამყვანი როლის შესახებ. ეს მოსაზრება ნუგზარ ალექსიძემ მალევე დაამტკიცა.

ბატონი ნუგზარი არაერთ უცხოურ კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა. 1967-1968 წლებში აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილისა და პეტრე ქომეთიანის წინადადებით, იგი მიავლინეს შვედეთში გეტებორგის ნეირობიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც უაღრესად საყურადღებო მალაღი დონის სამეცნიერო ნაშრომები შეასრულა, კვლევის უნიკალური მიკრომანიპულაციური ტექნიკა აითვისა და ეს წარმატებით დაინერგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 70-80-იან წლებში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი ნეიროქიმიური ცენტრი, სადაც უცხოელი მეცნიერები ნუგზარ ალექსიძის ხელმძღვანელობით ეუფლებოდნენ კვლევის მიკრომანიპულაციურ ტექნიკას.

უამრავ სამეცნიერო მიგნებას შორის უნდა დასახელდეს 1970 წელს ნუგზარ ალექსიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება თავის ტვინში გლიასინაზური სტრუქტურების არსებობის შესახებ, რომელიც მოგვიანებით (1979 წ.), ექსპერიმენტულად დაამტკიცეს ციტოლოგებმა. ასევე უნდა აღვნიშნოთ პროფესორ ნუგზარ ალექსიძის მიერ

მოპოვებული ექსპერიმენტული მასალების საფუძველზე შემუშავებული დებულება მეხსიერების რეპროდუქციაში ბიოგენური ამინების როლის შესახებ, რაც საშუალებას იძლევა ფარმაკოლოგიური ზემოქმედებით სპეციფიკური ენზიმების აქტივობის მიზანმიმართულად შეცვლის გზით დარეგულირდეს თავის ტვინის ინტეგრალური მოქმედება და მეხსიერება. ეს მოსაზრება დღესაც პოპულარულია მეცნიერებში.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ბოლო წლებში ნუგზარ ალექსიძის მიერ ჩამოყალიბებულმა თეორიამ მკვლელი ორგანიზმების ფორმირების შესახებ სოციალურად აგრესიული გარემოს ფონზე. როგორც იგი ასკვნის, ბუნებრივი აგრესორების — კრიმინალების, მკვლელებისა და თვითმკვლელების თავის ტვინსა და სისხლში მნიშვნელოვნად მცირდება სეროტონინის რაოდენობა, ახალგაზრდებში (14-16 წელი) კი აღინიშნება სერიოზული ძვრები სასქესო ჰორმონებში, რაც ინტელექტუალურად არაკონტროლირებადი ქცევების (მკვლელობა) მიზეზი ხდება. ნუგზარ ალექსიძის აზრით, მკვლელი ავადმყოფია და ის მკურნალობას ექვემდებარება. ამიტომ პრევენციის მიზნით, საჭიროა მათი დროული გამოვლენა და ფსიქო და კოგნიტიური მკურნალობა. მოსაზრების ავტორი ასაბუთებს, რომ სკოლებში უნდა შეიქმნას ფსიქოლოგიური ინსტიტუტები და მოსწავლეთა აგრესიული ქცევის კომპიუტერული ბანკი.

პროფესორი ნუგზარ ალექსიძე წარმატებით მუშაობდა აგრეთვე მთავრობის მიერ დაკვეთილ სოფლის მეურნეობის ნარჩენების უნარჩენო გადამუშავების ტექნოლოგიის საკითხებზეც. მისი ხელმძღვანელობით სოფლის მეურნეობის ნარჩენების ზაზაზე შეიქმნა პლასტმასა, ფენოლოფორმალდეჰიდური ფისი, ხელოვნური კორდი, ბიოგაზი და სხვა, რომლებიც წარმატებით დაინერგა.

ბოლო ხანებში ბატონი ნუგზარ ალექსიძე ფართო სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა ასტრობიოლოგიური მიმართულებით. ის, ახალგაზრდა დოქტორანტ მარიკა ტარასაშვილთან (ასევე ასტროფიზიკოს სიმონ ნერეთელთან და ასტრონომ შალვა საბაშვილთან) ერთად იკვლევს მარსის ტერაფორმირების ბიოლოგიურ შესაძლებლობებს. კვლევის შედეგები უკვე წარდგენილია რამდენიმე ასტრობიოლოგიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (პუერტო-რიკო, ჰუსტონი, აშშ). მათემატიკურ გათვლებზე დაყრდნობით შეიქმნა მარსის მოდელი რადიაციის, განათებისა და ტემპერატურის დისტანციური მართვით. მოდელი წარდგენილია პატენტზე.

პროფესორ ნუგზარ ალექსიძის სამეცნიერო მოღვაწეობაზე თვალის გადავლენა გვაძლევს იმის განცხადების საშუალებას, რომ მან სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის განმავლობაში განავითარა რამდენიმე სამეცნიერო მიმართულება: მეხსიერების ბიოქიმიური საფუძვლები, ეკოლოგიური ბიოქიმიის საფუძვლები (პროფესორ გია ალექსიძესთან ერთად), სოციალური ეკოლოგია, ნეიროლექტრონოლოგია, ასტრობიოლოგია და სოფლის მეურნეობის ნარჩენების უნარჩენო გადამუშავების რამდენიმე განსაკუთრებული ღირებულების ორიგინალური ტექნოლოგია.

იგი არის 8 სახელმძღვანელო, 6 მონოგრაფიის, 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 18 გამოკვლების ავტორი.

სხვადასხვა საპატიო ნიშნებითა და პრესტიჟულ საერთაშორისო ორგანიზაციათა წევრობასთან ერთად, საგულისწოა რამდენიმე მონაცემი მისი ბიოგრაფიიდან: 1997 წელს ნუგზარ ალექსიძე შეიყვანეს აშშ ბიოგრაფიული ინსტიტუტის ცნობარში (ABI) „ვინ ვინ არის“, 1997 წელს იგი აღიარებული იყო წლის ადამიანად, ხოლო 1999 წელს, კემბრიჯის ინტერნაციონალური ბიოგრაფიული ცენტრის მიერ დასახელდა საუკუნის ადამიანად (International Man of the Millenium). 2010 წელს ნუგზარ ალექსიძე დაჯილდოვდა „მსოფლიოს მედლით მშვიდობისათვის“ ნეირობიოლოგიაში.

ბატონი ნუგზარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1959 წლიდან 2007 წლამდე მოღვაწეობდა და დღესაც არ გაუწყვეტია კავშირი. მისი ხელმძღვანელობით აქ აღიზარდა 31 მეცნიერებათა კანდიდატი (მათ შორის, ერთი უცხოელი) და 8 მეცნიერებათა დოქტორი. როცა ვკითხეთ, თქვენს საუკეთესო სტუდენტთაგან ვის გამოარჩევდით, დაუფიქრებლად ჩამოთვალა რამდენიმე, რომელთა მიერ გამოცემული გამოჩენილი ცოდნის დონის ახლაც აღფრთოვანებულია. მათ შორის, ვინც ბატონი ნუგზარ ალექსიძის

აღფრთოვანება გამოიწვია, არიან საქართველოში კარგად ცნობილი მოღვაწეები — თავისუფალი უნივერსიტეტის დამფუძნებელი კახა ბენდუქიძე და თსუ-ის პროფესორი ნინო ფორაქიშვილი.

## როგორ, ვინაშენი, გუდასტვირი, ჭიპონი და... ადგილი ქართულ მეცნიერებაში

ცხადია, როცა ამგვარ თავბრუსმომხვევ სამეცნიერო წარმატებებზე საუბრობ, კითხვაც კი არ უნდა გაჩნდეს, არის თუ არა ამ ადამიანის ადგილი მეცნიერებაში, მაგრამ ჩემთვისაც გასაოცარი იყო, როდესაც ბატონი ნუგზარისგან მოვისმინე: „ვფიქრობ, უფრო ხელოვნებაში უნდა ვყოფილიყავი და არა აქ, სადაც დღეს ვარო“...

მუსიკა მისთვის ჰობი არ არის. ის მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მის საუბარს, აზროვნებას, ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭს აშკარად ამჩნევია ხელოვნის დამოკიდებულება.

„დიდი სურვილი მქონდა, რომ მივბრუნებოდი ამ სფეროს, მაგრამ მეცნიერებასთან ერთად ეს ძნელად შესასრულებელი იყო. მუსიკისადმი ლტოლვა იმით დავიკმაყოფილე, რომ დღეს სახლში ყველა ქართული ხალხური ინსტრუმენტი მაქვს. ჩემს კოლექციასა ჩონგური, ფანდური, გუდასტვირი, ჭიპონი, ქართული გარმონი, დულუკი, ვიოლინო, ფორტეპიანო და ხშირად ვუკრავე. გული არ მწყდება, ზუსტად ვიცი, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ყველგან წარმატებული ვიქნებოდი, რადგანაც ჭიანჭველასავით შრომა მიყვარს. სულ ვამბობ, რომ ჯარისკაცი ვარ მეცნიერებაში. არასოდეს მიცდია თანამდებობისთვის ბრძოლა, თუმცა ბევრჯერ იყო შემთავაზება. ყოველთვის მიწინააღმდეგე ვყოფილიყავი ჩემს სამეცნიერო საქმესთან და დღესაც არ შემინწყვეტია მუშაობა“, — გვითხრა ბატონმა ნუგზარმა.

## ანანო

ბატონი ნუგზარის მეუღლე, ქალბატონი დარეჯან ფხაკაძე უნივერსიტეტელია. ის 2007 წლამდე მუშაობდა და წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. დღეს იგი ოჯახის ყველაზე „უფროსი“ წევრს, პატარა ანა ალექსიძეს ზრდის, რომელსაც ბაბუსა მუსიკალური სმენა და მამის მხატვრობის ნიჭი გამოჰყოლია. ერთსაათიან ინტერვიუში ბატონი ნუგზარი ყველაზე მხიარული და ყველაზე სიტყვაუხვი წინორედა ანაზე საუბრისას იყო: „წერს ლექსებს, ხატავს, მღერის, ცეკვავს... საოცრად მუსიკალური ბავშვია, ჯერ არ ვიცი, რა გზას აირჩევს, მაგრამ ჩემთვის ის თელი ცხოვრებაა, მან შემეგონა ბიძინა, რა არის სიყვარული“, - ლიმილით გვიხსენებდა შვილიშვილს ბაბუსა და ვგრძნობთ, რომ პატარა ანას სახით ქართულ ხელოვნებას ან მეცნიერებას კიდევ ერთი პატარა ყლორტი ეზრდება.



ნუგზარ ალექსიძეს წელს 75 წელი შეუსრულდა. მიუხედავად მეცნიერებაში მიღწეული წარმატებებისა, ის არ აპირებს მიღწეულით დაკმაყოფილებას და ახლა თავის ძმისშვილთან, ცნობილი ანტიმისისწერი ნამლის, GA 40-ის შემქმნელთან, გია ალექსიძესთან ერთად სერიოზულად მუშაობს ონკოლოგიაში. „ღარწმუნებული ვარ, მალე დიდი წარმატება გვექნებაო“, — გვითხრა ბატონმა ნუგზარმა და და ჩვენც დავეთანხმეთ, რადგან ასეთი მიზანდასახულობა შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

# სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტთა უფლებებისთვის



დავით გუბაძე, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა ახალ პროექტებზე მუშაობს. განათლება, მეცნიერება, სტუდენტების უფლებების დაცვა, სპორტი, ტურიზმი, გასართობი და კულტურული ღონისძიებები — ამ მიმართულებებით სასწავლო წლის დასრულებამდე ახალგაზრდებს საინტერესო სიახლეები ელით. იგეგმება ლაშქრობები, ჩატარდება სტუდენტური დღეები, საქველმოქმედო კონცერტები...

მესამე მონვევის თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისთვის პრიორიტეტული განათლების და სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტების მუშაობის გააქტიურებაა. ამ დროისთვის, მართალია, არც ისე ხშირად, მაგრამ სტუდენტები სტუდენტურ თვითმმართველობას საკუთარი უფლებების დაცვის თხოვნით უკვე მიმართავენ. განათლების დეპარტამენტი კი, სხვა პროექტებთან ერთად, 12 ნოემბერს შექმნილ უცხო ენათა კლუბის გააქტიურებაზე მუშაობს. კლუბის ჩამოყალიბების მთავარი მიზანია სტუდენტებში უცხო ენის ცოდნის დონის გაზრდა, რაც თსუ-ში ერთერთი პრობლემატური საკითხია. იმის გასარკვევად, თუ როგორ მუშაობს თსუ-ის ახალი სტუდენტური თვითმმართველობა და, კონკრეტულად, რა ღონისძიებების გატარებას გეგმავს სემესტრის დასრულებამდე, ჩვენი სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტ დავით გუბაძეს და ორგანიზაციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებს გავესაუბრეთ.

## ნათო მობლაძე

■ **დავით გუბაძე**, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

— ჩვენი მუშაობის მთავარი პრიორიტეტები განათლების და სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტების ეფექტურად ამუშავება და ამ მიმართულებით კიდევ არაერთი ღონისძიების გატარებას გვგეგმავს. შესაბამისად, მომავალში ორივე დეპარტამენტის დაფინანსებისთვის უფრო მეტ თანხას გამოვყოფთ. რა თქმა უნდა, ეს არ ნაკლებია იმას, რომ სხვა დეპარტამენტები კლუბები ინტენსივობით იმუშავენ ან ნაკლები მასშტაბის ღონისძიებებს ჩატარებენ. განსაკუთრებით საინტერესო პროექტების განხორციელებას მომავალი წლიდან ვაპირებთ, რადგან სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტი, სავარაუდოდ, დაახლოებით, 768 000 ათასამდე გაიზარდება. ჩვენ დეტალურად გვაქვს განერიოლი — რაში რა რაოდენობის თანხა გვჭირდება.

საქართველოს მასშტაბით თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა ყველაზე მძაფრი და, ასევე, ყველაზე დიდი ბიუჯეტის მქონე ახალგაზრდული ორგანიზაციაა. მოგეხსენებათ, რომ თსუ-ის ორი უმადლესი სასწავლებელი შემოუერთდა — თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი და სამართლის ეროვნული სკოლა, შესაბამისად, გაერთიანდებიან სტუდენტური თვითმმართველობები და გაიზარდება სტუდენტების რაოდენობაც. ამიტომ ვაპირებთ, გაცილებით მეტი პროექტის განხორციელებას და ამ პროცესში უფრო მეტი სტუდენტის ჩართვას, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. გაგრძელდება სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციების გამართვა, კულტურული და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება. ვფიქრობ, რომ სტუდენტების მოღვაწეობა უნივერსიტეტში მართლაც ლეიტენანტად უნდა შეიტანონ უნივერსიტეტის განვითარებაში.

■ **თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს და საფაკულტეტო საბჭოს წევრები სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებიც არიან. სტუდენტების ინტერესების დასაცავად რა გავლენის მოხდება შეუძლიათ მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში?**

— როდესაც წარმომადგენლობითი საბჭოსა და საფაკულტეტო საბჭოებში პროფესორების რაოდენობა იზრდება, ჩვენ ვიბრძობით, რომ სტუდენტების რაოდენობაც გაზრდილიყო. შედეგად, უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილება შეიტანეს და საბჭოების წევრი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების რაოდენობა დაბალანსდა. რეალურად, დღეს, მაგალითად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოში 60 პროფესორი და 40 სტუდენტია, ანუ სტუდენტების რაოდენობა ერთ მეორედზე მეტია. წარმომადგენლობით

საბჭოში კი 39 წევრიდან 14 სტუდენტია, ასევე, ერთ მეორედზე მეტი. აქედან გამომდინარე, სტუდენტების ინტერესები მაქსიმალურად დაცულია და მათ ნებისმიერი გადაწყვეტილების დაბლოკვა შეუძლიათ.

■ **თქვენი ორგანიზებით გაიმართა კონკურსი სტუდენტური გაზეთის დასაფინანსებლად. როგორც ვიცით, გამარჯვებული პროექტი გამოვლინდა, როდის დაიწყება ამ გაზეთის გამოცემა?**

— სტუდენტური გაზეთის გამოცემა, ჩვენ გან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დროებით შეწყვეტილია. ეს, ძირითადად, თსუ-ის ადმინისტრაციამ განხორციელებულმა ცვლილებებმა განაპირობა. გამარჯვებულ პროექტს რამდენიმე დღეში დავასახელებთ და გაზეთის გამოცემაც უახლოეს მომავალში დაიწყება.

■ **ბაბი მხანაშვილი, სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე:**

— ჩვენი დეპარტამენტის არსებობისა და ფუნქციების შესახებ სტუდენტები ინფორმირებული არ იყვნენ. სწორედ ამიტომ, პირველი რიგში, დეპარტამენტის გაპირება გადაწყვიტეთ. სტუდენტებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, რომ სტუდენტურ თვითმმართველობაში მათი უფლებების დაცვის დეპარტამენტი ფუნქციონირებს და, უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ყველა ღონის ვიხმართ მათ დასახმარებლად. გაპირების მიზნით, ჩვენ თსუ-ის ყველა კორპუსში ბანერები დავდგით, სადაც დეპარტამენტის სახელწოდება და ის ძირითადი უფლებებია მითითებული, რაც სტუდენტებს აქვთ.

■ **ამ ეტაპზე სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩანახატების კონკურსი მიმდინარეობს — სახელწოდებით „თსუ-ის სტუდენტების უფლებები“**

— ეს პირველი ღონისძიებაა, რომელიც ჩვენ ამ სასწავლო სემესტრში ჩავატარეთ. კონკურსის ფარგლებში სამი საუკეთესო ნამუშევრის ავტორი ფასიანი პრიზებით დაჯილდოვდება, დანარჩენები კი მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცემათ. რაც შეეხება ჩვენს სამომავლო ღონისძიებებს, როგორც მოგახსენებთ, 3 დეკემბერს უნარშეზღუდულთა დღეა და საქველმოქმედო ხასიათის კონცერტის ჩატარებას ვაპირებთ. კონცერტიდან შემოსული თანხით თბილისის „სოციალური თერაპიის სახლი“ მცხოვრებ უფროს ასაკის უნარშეზღუდულებს დავეხმარებით. ამ ღონისძიებაზე ისინიც მიიღებენ მონაწილეობას, მათ დადგმული აქვთ სპექტაკლი, რომელსაც მაყურებელი აქ დაქვემდებარებული იქნება. „სოციალური თერაპიის სახლი“ მცხოვრებ უნარშეზღუდულებს აქვთ საკუთარი ნახატებიც, რომელთა გამოფენა-გაყიდვა მოეწყობა. საქველმოქმედო კონცერტში „თსუ-გორდელა“ ჩაერთვება. ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს, 10 დეკემბერს, სახალხო დამცველისა და პრობაციის მინისტრის მოწვევას ვაპირებთ. ამავე დღეს, მათთან ერთად, არასრულწლოვან მსჯავრდებულებსაც შევხვდებით.

■ **რაც შეეხება სტუდენტთა უფლებებს, რამდენად ხშირად ირღვევა ეს უფლებები? ძირითადად, რა სახის საჩივრით მოგმართავენ სტუდენტები?**

— მოგვმართავენ, მაგრამ ამას სისტემატური ხასიათი არ აქვს. თუმცა ვინც მოგმართა, აბოლუტურად ყველა სტუდენტს დავეხმარეთ. მათი უფლებები, ძირითადად, მაშინ ირღვევა, როდესაც სტუდენტს რაღაც საგანთან დაკავშირებით პრობლემა აქვს. ამიტომ ვგეგმავთ თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებისგან ინფორმაციის მიღებას — თუ რომელ თანამშრომელს რა ევალება და სტუდენტმა გარკვეული სახის პრობლემის მოსაგვარებლად ვის უნდა მიმართოს. შემდეგ ამ ინფორმაციას ჩვენ გავავრცელებთ. ასევე, ვაპირებთ სასესიო პერიოდში გამოცდების მსვლელობას დააკვირდეთ ჩვენი დეპარტამენტიდან 10-15 კაციანი ჯგუფი.

■ **გამოცდებზეც ირღვევა სტუდენტთა უფლებები?**

— პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტებს, ზოგჯერ, უსამართლოდ ექცევიან. ლექტორმა თუ ვერ დაინახა, რომ სტუდენტი გამოცდაზე ეწ. „შპარგალიდან“ იწერს, უფლება არ აქვს, მივიდეს და შეამოწმოს. ლექტორი მსგავსი საქციელით სტუდენტს შეურაცხყოფს და კონცენტრირებაზე ხელს უშლის. გამოცდაზე სტუდენტი დაძაბული არ უნდა იყოს, პირიქით, გამომცდელმა ისეთი გარემო უნდა შეუქმნას, რომ ის თავისუფლად გმრძობდეს თავს.

■ **როგორი ურთიერთობა გაქვთ სასწავლო დეპარტამენტთან ან, თუნდაც, საგამოცდო ცენტრთან?**

— როდესაც რომელიმე სტუდენტის პრობლემის მოსაგვარებლად მივიდვართ, სასწავლო დეპარტამენტის თანამშრომლები სიამოვნებით გვეხმარებიან. ჩვენ შევცდებოდით, ყველა ის პრობლემა აღმოვფხვრათ, რაც აქამდე ხდებოდა ამ მიმართულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

■ **ირაკლი მაისაშვილი, განათლების დეპარტამენტის თავმჯდომარე:**

— განათლების დეპარტამენტი ორ დიდ სამეცნიერო კონფერენციას ამაზღვებს — „საბჭოთა მემკვიდრეობა საქართველოში“ და „კაცობრიობა ეკოლოგიური კატასტროფის პირობებში“. ორივე კონფერენცია ნოემბრის ბოლოს გაიმართება. სტუდენტების ნამუშევრებს პროფესორ-მასწავლებლებისგან შედგენილი ჟიური შეაფასებს. უახლოეს მომავალში ვაპირებთ ჩავატაროთ ლექსების კონკურსი, რომელსაც პოეზიის სადამოს ფორმა მიეცემა და მას თანამედროვე ქართული პოეტიკა დაესწრებიან. ამ მიმართულებით აქტიურად ვთანამშრომლობთ სპორტისა და კულტურის ცენტრთან.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ხორციელდება ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი. ეს გახლავთ შეხვედრების ციკლი ბიზნესმენებთან, ცნობილ ეკონომისტებთან და ექსპერტებთან. პირველი შეხვედრა უკვე გაიმართა და მასში 70-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. ყველა მათგანი, კონკურსის საფუძველზე, მათ მიერ გამოგზავნილი CV-ების მიხედვით შევაჩრით.

■ **სხვა ფაკულტეტებზე თუ აპირებთ მსგავსი სახის შეხვედრების მოწყობას?**

— შეხვედრების ციკლი უკვე დაიწყო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზეც, ვინცეთ ცნობილ პოლიტოლოგებს, ექსპერტებს... გვინდა, რომ მოვიწვიოთ ცნობილი რუსი ჟურნალისტი ოლეგ პამფილოვი, რომელთანაც შეხვედრა, ვფიქრობ, ყველა ფაკულტეტის სტუდენტისათვის საინტერესო იქნება. ურთიერთ ფაკულტეტზე იგეგმება იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობა. გვაქვს, ასევე, პროექტი „პაავის სასამართლოს სიმულაცია უნივერსიტეტში“. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კი იგეგმება ნატოს გენერალური ასამბლეის უშიშროების საბჭოს სხდომების სიმულაცია.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტმა, ასევე, ჩამოაყალიბა უცხო ენების კლუბი, რომლის პრეზენტაციაც 12 ნოემბერს გაიმართა. კლუბის მუშაობის ძირითადი პრინციპი კონფერენციების მოწყობა, დებატები, უცხო ენებზე ფილმების ჩვენება იქნება.

■ **უცხო ენების კლუბში განვერიანება ყველა ფაკულტეტის სტუდენტს შეუძლია?**

— მასში ნებისმიერ თსუ-ის სტუდენტს შეუძლია განვერიანება. პარალელურად უცხო ენათა კლუბში ჩატარდება სტუდენტებისთვის ტესტირება ინგლისურ ენაში და, მათ შორის, 10 საუკეთესო დაფუინანსებული ტოუფელის ტესტირებას. ამ ტესტირების განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაკალავრიატის III-IV კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. სერტიფიკატის მიღების შემთხვევაში მათ საშუალება ეძლევათ ორი წელი სასწავლებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდნენ. მომავალში ვაპირებთ, რომ სტუდენტებს სხვა სერტიფიკატის მიღებაშიც დავეხმაროთ. ამ პროცესში თანადგომას გვიცხადებს კომპანია „საგანმანათლებლო გზამკვლევი საქართველოში“, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში არსებულ ყველა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებასთან აქვს კავშირი. მათი საშუალებით ვგეგმავთ დაფუინანსებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო ცენტრებს, რომლებიც თსუ-ის 6-ზე ფაკულტეტზე ტრენინგებს ჩატარებენ. უფრო მეტად, ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, რადგან საქართველოში ტრენინგები, ძირითადად, ამ მიმართულებით ტარდება.

■ **თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები ხშირად საუბრობენ, რომ თსუ-ის სტუდენტების უმრავლესობამ უცხო ენა სათანადოდ ვერ იცის, რაც მათ სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებაში ხელს უშლის. უცხო ენათა კლუბის ფარგლებში ხომ არ გეგმავთ სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების ჩატარებას?**

— ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ თსუ-ის უცხო ენების ცენტრთან და, რა თქმა უნდა, გვგეგმავთ უცხო ენების კურსების ჩატარებას. ეს დამოკიდებულია თსუ-ის უცხო ენების ცენტრზეც.

■ **სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა ეთვლება თუ არა სტუდენტებს იმ აქტივობაში, რომელიც სტიპენდიის მიღებისთვის აუცილებელი გახდება?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ განხორციელებული ყველა საგანმანათლებლო პროექტი მათ აქტივობაში ეთვლება. სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია, რომ აიღონ სტიპენდია და ჩვენ მათ ამისათვის დამატებით შესაძლებლობებს ვაძლევთ.

■ **კონსტანტინე ქარეშაძე, კულტურის დეპარტამენტის თავმჯდომარე:**

— ამ სემესტრში საკმაოდ კარგი და საინტერესო ღონისძიებები გვაქვს დაგეგმილი.

ბატონ გურამ სალარაძის მონაწილეობა ვაპირებთ, რომელიც სტუდენტებს ერთ ღამეზე პოეზიის საღამოს არუქებს. ნოემბრის ბოლოს გაიმართება სტუდენტური ფოტო-გამოფენა თავისუფალ თემაზე, დეკემბრის ბოლოს კი ფოტო-კონკურსი, სადაც მონაწილეობის მიღება თსუ-ის ნებისმიერ სტუდენტს შეეძლება. გამარჯვებულს სპეციალურად მოწვეული ჟიური გამოავლენს. უნივერსიტეტში სწავლობენ სტუდენტები, რომლებიც მღერავენ, სწავნიან, მუსიკას, ცეკვავენ, აქვთ შემოქმედებითი ნიჭი. მათი მონაწილეობით გაიმართება საქველმოქმედო აქცია-კონცერტი, შემოსული თანხით კი ერთერთ ბავშვთა სახლს დავეხმარებთ. ახლა აქტიურად ვმუშაობთ ირაკლი ჩარკვიანის საღამოსთვის, ზუსტი დრო ჯერჯერობით არ ვიცით, თუმცა, ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო ღონისძიება გამოგვივა.

■ **რა პროექტების განხორციელებას გეგმავთ კულტურისა და სპორტის ცენტრთან ერთად?**

— კულტურისა და სპორტის ცენტრის დაქვემდებარებაშია თეატრალური დასი „სხვენი“, რომელიც სპექტაკლ „ჭრილობის“ აღდგენაზე მუშაობს. ჩვენ მათ ფინანსურად ვეხმარებით. სპექტაკლის ჩვენება დეკემბრის შუა რიცხვებში გაიმართება. კულტურისა და სპორტის ცენტრთან ერთად 22, 23 და 24 დეკემბერს სტუდენტურ დღეებს მოვანწყობთ. ღონისძიების ფარგლებში ლიტერატურაში, მუსიკასა და ცეკვაში გაიმართება კონკურსი. მასში გამარჯვებულებს ფასიანი პრიზებით დაეჯილდოვებთ. მსგავსი სახის ღონისძიებები აქამდეც ჩავუტარებთ. უნდა ითქვას, რომ სტუდენტები ყოველთვის ინტერესდებიან და ძალიან აქტიურები არიან.

■ **გიორგი კარტოზია, ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე:**

— ვინცერთი ექსპურსიების მეორე ეტაპს გვინდა, ამჯერად, გაცილებით მეტი სტუდენტი წავიყვანოთ, ვიდრე სემესტრის დასაწყისში. დაგეგმილი გვაქვს ლაშქრობების მოწყობაც. მასში მონაწილეობის მიღების მსურველმა სტუდენტებმა ფაკულტეტების სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს უნდა მიმართონ. რაც შეეხება ექსპურსიებს, ყველა გასვლას აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ვგეგმავთ, რადგან, უფრო შორ მანძილზე წასვლის შემთხვევაში, იმავე დღეს უკან დაბრუნებას ვერ მოვახერხებთ. ერთდღიან ექსპურსებზე კი სტუდენტების უსაფრთხოება გაცილებით მეტად არის დაცული. ჩვენ, ასევე, ვაფინანსებთ სტუდენტურ პროექტებსაც, რომელშიც დანერგული უნდა იყოს განერილი ექსპურსიის ან ლაშქრობის მარშრუტი და ხარჯები.

■ **ვინ ზრუნავს ექსპურსიებზე წასული სტუდენტების უსაფრთხოებაზე?**

— მათ ორგანიზატორები ვაქცევენ ყურადღებას. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები ყოველთვის მშვიდ ვითარებაში, ექსცესების გარეშე ტარდება.

■ **სტუდენტური თვითმმართველობა გეგმავდა ექსპურსიებისთვის გიდების მომზადებას. დაიწყო თუ არა ეს პროცესი?**

— მომზადების დაწყებას მომდევნო სემესტრიდან ვგეგმავთ. მსურველ სტუდენტებს შევარჩევთ და სპეციალურ გადამზადების კურსებს ჩაუტარებთ. ამისათვის პროფესიონალი გიდების მოწვევა იგეგმება.

■ **თეიმურაზ მახაშვილი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე:**

— უახლოეს დღეებში ბილიარდის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთისა და ლაზერლენდის შიდა საუნივერსიტეტო ჩემპიონატს ვაგეგმავთ. ჩემპიონატი უკვე ჩატარდა ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთისა და ხელბურთში. სპორტის ამ სახეობებში გამართულ შეჯიბრებებში 500 სტუდენტი იყო ჩართული. არ ველოდით ფრენბურთით ასეთ დიდ დაინტერესებას. მასში მონაწილეობა 46-მა გუნდმა მიიღო. დეკემბერში ვგეგმავთ ჩემპიონატის გამართვას კომპიუტერულ თამაშებში — ასეთი სახის ღონისძიება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად ჩატარდება. ძალიან ბევრ სტუდენტს სურს, რომ ღონისძიებებში ჩაერთოს და ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვროს. მოთხოვნა დიდია. ფრენბურთისა და ხელბურთის სექციები ახლახან ჩამოყალიბდნენ. გვინდა სპორტის სხვა სახეობებშიც მოვანწყოთ შეჯიბრებები, თუმცა ერთად 5 ან 6 სექციის ჩამოყალიბება შეუძლებელია. ამ ეტაპზე იმ სპორტული სექციების დახვეწას ვაპირებთ, რომლებიც უკვე გვაქვს.

■ **რამდენად კარგი პირობებია შექმნილი უნივერსიტეტში სტუდენტთა სავარჯიშოდ?**

— თსუ-ის ე.წ. მაღალი კორპუსის სპორტული დარბაზი უკვე გარემონტდა და, ამჟამად, კარგ მდგომარეობაშია. ვარჯიშისთვის ყველა პირობა შექმნილი. დაგეგმილია, თსუ-ის ამავე კორპუსის ტერიტორიაზე ფეხბურთის მოედნის გაკეთება.



# „შოთაოზის“ პრემიის მფლობელი პოეტი „ვეფხისტყაოსანს“ ლოცვასავით კითხულობს



## პეიზაჟები

ციცინათელეს ცისკარს ვუკრფედი, დაუსკდათ გული შიშნაჭამ ბინდებს. გადაიღლა დილა გულმკერდი, მინდორი პეპლებს ბუზღუნით მისდევს. მუხები დევთა ქორნილში დათვრენ, გადაიყვლიდა ღამემ მუხლები. ნისქეილში დაფქვეს საწყალი მთვარე. ცაო მყინვარებს რად ებუტები. მზე კალმახით ფართხალებს ზღვაში, როცა ცივ ნისლებს მაყარი სტუმრობს. ალბათ სიცოცხლეს ისევ ვემლაშე, და ახლა ქაჯებს ვუჭედავ კუბოს. ღრუბლებს ხელადით მზის ცრემლი მიაქეთ, შარა მიაგავს სულთმობრძავ პითონს. ლოთი უფსკრული დაეხრჩო წყვილად, ყრუ დედამინა მზის ირგვლივ ფიქრობს, ღამე კრუხით დაჯდა მთვარეზე. ყელი გაუმრა მდინარის ნაპირს. მზეთუნახავო, კარი ჩარაზე, თორემ ჭაბუკის მზე გულში დაგჭრის.

## შურთხია ბაროვილი

პოეტმა ბევრი რამით შეიძლება გააოცოს მკითხველი, უპირველეს ყოვლისა კი თავისი პოეზიით... ლექსო დორეულს, 18 წლის პოეტს, ეს კარგად გამოსდის... ლექსებს 4 წლიდან წერს, 6 წლის ასაკში კი ჟურნალ „ნერგის“ ყველა ნომერში იბეჭდება მისი შემოქმედება. უფროსები, ცოტა არ იყოს, გაოცებასთან ერთად ღიზიანდებოდნენ, როცა პატარა პოეტისთვის „შეუფერებელ“ სტრიქონებს კითხულობდნენ: „ჩემი ერთი დღე ტანჯული, ერთ საუკუნედ მეჩვენა, სიხარული კი ხანმოკლე, ვერ შევამჩნიე ჩერჩეტმა, დაფრინავს არწივისფერი სულში ბოროტი ალია, გულს შთანთქვას ველარ უბედავს, სუსტი ადგილის ხარბია...“ — ეს ლექსი არც მეტი, არც ნაკლები, 8 წლისამ დაწერა. მიუხედავად ამისა, ყველა აღიარებდა, რომ იგი გამორჩეული ნიჭის ადამიანი იყო და უკვე 10 წლის პოეტს თელავის უნივერსიტეტში მოუწყვეს შეხვედრა...

ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ქართულ სინამდვილეში პირველად 18 წლის პოეტი ლექსო დორეული „შოთაოზის“ პრემიის მფლობელი გახდა. მართალია, ასპინძაში, „შოთაოზის“ დღესასწაულზე ლექსო დორეულის ლექსები კონკურსის ბოლო დღეს მიიღეს, მაგრამ ჟიურიმ მაინც მოასწრო მისი შემოქმედების გაცნობა, რამაც ჟიურის წევრთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. ლექსო დორეული იხსენებს: „კონკურსი მწერალთა კავშირის, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ინიციატივითა და საქართველოს პირველი ლედის — სანდრა რულოვის პატრონაჟით გაიმართა. საოცარი გარემო იყო... ჩოხებში გამოწყობილი ახალგაზრდები ღვინოს თასებით გვანდებდნენ... ჩვენ ვლოცავდით შოთას სამშობლოს, შოთას პოეზიას. ბოლოს მერიის წარმომადგენელმა დამაჯილდოვა და ჩემი ლექსიც წავიკითხე. ძალიან გულთბილად შემხვდა იქაური მოსახლეობა“.

ლექსოს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს რუსთაველის პოეზიასთან. ამბობს, რომ ჩვევად გადაექცა ყოველ დღე-საღამოს „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა. „პოემას ლოცვასავით ვკითხულობ... ის დღე

ყოველთვის კარგად მთავრდება, როცა მის რომელიმე მონაკვეთს წავიკითხავ. მიმაჩნია, რომ ყველა ქართველს ასე უნდა უყვარდეს რუსთაველი“, — ამბობს პოეტი.

18 წლის ლექსო დორეული ივანე ჯავახიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების მეორე კურსის სტუდენტია. მან განათლების სამინისტროში ექსტერნად ჩააბარა XII კლასის გამოცდები და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლის უფლება მოიპოვა. იგი ზოგჯერ ახლაც ასაკისთვის „შეუფერებელი“ სერიოზულობით საუბრობს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე, აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში და არა ერთი პროექტის ავტორია. „ნიგნთან ახლოს ნადები ვარ — ძალიან მიყვარს კითხვა, მაგრამ რაც ფილოსოფიის განხრით ნავედი, ძირითადად, სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა მინდის და ამაზე გული მწყდება, მაგრამ მაინც ვახერხებ კომპენსირებას“, — გვითხრა ლექსომ.

მისი ინფორმაციით, მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოვა ლიტერატურული გაზეთი, რომელშიც თანამედროვე ლიტერატურული ტენდენციები აისახება. „სიამაყით მიწა ვანაცხადო, რომ ჩვენს უნივერსიტეტს ეზრდება დიდი პროფესიონალები ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. გაზეთში იქნება ასევე შემდეგი რუბრიკები: პოეზია, პროზა, თარგმანი (სადაც დაიბეჭდება ახალი თარგმანები). ალბათ, ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო იქნება რუბრიკა — „აზრები“, რომლის საშუალებითაც მკითხველს ჩვენი ლექტორების მიერ წაკითხული ლექსების გადასაშვებულ ვერსიებს მივანვით. ასევე, საინტერესო იქნება რუბრიკა — „აფიშა“, რითაც სტუდენტები თავს დაალენ ინფორმაციულ ვაკუუმს, გაიგებენ — რა ხდება საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, სად ტარდება ლიტერატურული კონკურსები, ფესტივალები და ა.შ. ამ ყველაფრის გაკეთებას ჩვენი ძალეებით ვაპირებთ — არიანდაც კოლეგიაშიც კი სტუდენტები არიან. ვფიქრობ, გაზეთი ყველა სტუდენტისათვის საინტერესო იქნება“, — ამბობს ლექსო დორეული.

მისი ინიციატივით უკვე დაარსდა ლიტერატურული სალონი, სადაც პოეზიის მოყვ

ვარული ახალგაზრდები ყოველ პარასკევს იკრიბებიან, რათა უკეთ გაეცნონ ერთმანეთის შემოქმედებას და თვალის ადევნონ უნივერსიტეტის შემოქმედებით საქმიანობას. უახლოეს მომავალში ამ სალონის პრეზენტაცია იგეგმება.

ლექსო დორეული მთარგმნელობით საქმიანობაშიც სცადა ბედი. მისი ბნკარეული თარგმანები — თორმეტი ლექსი და ერთი პოემა ქართულ-პოლონურ საბავშვო ლიტერატურულ ალმანახში დაიბეჭდა, რომელიც საპატრიარქოს და პოლონეთის საელჩოს ეგიდით გამოიცა.

მალე შედგება, ასევე, ლექსო დორეულის რედაქტორობით გამოცემული წიგნის „გაუხედნელი ლექსების“ პრეზენტაცია, რომელიც, ძირითადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ლექსებია თავმოყრილი.

ბედი პროზაშიც სცადა, მაგრამ ჯერ არ აქვეყნებს... ამბობს, რომ არ უყვარს რედაქციების „ატალახება“. „პოპულარობა ჩემი თვითმიზანი არასდროს ყოფილა, ის თავისთავად მოვა, თუკი ამას დაიმსახურებ“, — მიაჩნია პოეტს.

ლექსო „დაჩაგრული“ პოეტების ქომბაგია. ყველაზე მეტად მას პოეტების ნიკო სამადაშვილისა და კახეთში მცხოვრები ქალბატონის, შიხა სოლომონიშვილის ლექსები მოსწონს. ახლა სულმოუთქმელად ელოდება მისი ახალი წიგნის გამოცემას.

რაც შეეხება ლექსოს ფილოსოფიით გატაცებას, ამბობს, რომ სულაც არ უმლის ეს ხელს პოეზიის სიყვარულში: „თუ არ ვცდები, შალვა ნუცუბიძე ამბობდა: იქ, სადაც მთავრდება ფილოსოფია, იწყება პოეზიაო. გავკადნიერდები და შემოვატრიალებ მის ნათქვამს: პოეზია და ფილოსოფია ეს ის მარადიული სუბსტანციებია, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად უნდა ვითარდებოდეს და, ამავე დროს, ერთმანეთს ავსებდეს. ჩემი პოეტური საქმიანობა ფილოსოფიის გაგებაში მესმარება და ასე ხდება პირიქითაც. პოეზია დროსა და სივრცეში მოუხეტებელი ის ერთი ნამაი, რომელიც უსასრულოდ გრძელდება“, — ამბობს უკვე ლამის ფილოსოფოსად ქცეული ლექსო, რომლის ნიჭიერებაც უნივერსიტეტის წიაღში, ალბათ, დროულად აღმოვაჩინეთ.

# ნორჩთა სკოლები მოსწავლეებს ინჰივიან

## შურთხია ბაროვილი

„საბავშვო უნივერსიტეტში“ სწავლა განახლდა. მოსწავლეებმა უკვე შეარჩიეს მათთვის სასურველი სპეციალობები და აქტიურად ჩაერთვნენ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ახალ სასწავლო წელს თსუ-ის ფაკულტეტებმა (იურიდიული ფაკულტეტის გარდა) შეადგინეს სალექციო კურსი, რომელსაც საჯარო სკოლის მოსწავლეებს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები წაუკითხავენ.

თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თეა ნითლანაძის ინფორმაციით, „საბავშვო უნივერსიტეტში“ სწავლის სურვილი, როგორც მოსალოდნელი იყო, წელსაც უამრავმა მოსწავლემ გამოთქვა, რომლებიც სხვადასხვა სექციაში გაერთიანდნენ. „წინა წლებთან შედარებით, მოსწავლეების დაინტერესება საგრძნობლად გაიზარდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ. ამ მიმართულებით მუშაობა განახლდა „ნორჩ ფიზიკოსთა“, „ნორჩ ქიმიკოსთა“, „ნორჩ ბიოლოგთა“ და „ნორჩ გეოგრაფთა“ სკოლებში, — აღნიშნა თეა ნითლანაძემ.

18 ოქტომბერს „ნორჩ ფიზიკოსთა სკოლის“ მოსწავლეებმა პირველი ლექცია „ფიზიკა და კომპიუტერული მოდელირება“ მოისმინეს, რომელიც პროფესორმა დავით კაკულიამ წაკითხა. ყოველ ხუთშაბათს მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე. პრაქტიკული მეცადინეობები გაიმართება ზოგადი ფიზიკის სასწავლო ლაბორატორიებში, სადაც ისინი პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევებს შეიძენენ.

ნორჩ ბიოლოგთა სკოლაში ლექციები და ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობა 21 ოქტომბერს დაიწყო. ლექცია „ბიოლოგიის როლი თანამედროვე საზოგადოებაში, მიღწევები და მომავლის პერსპექტივები“ მოსწავლეებს პროფესორმა დიანა ძიძიგურმა წაუკითხა. ნორჩ ბიოლოგთა სკოლა მოსწავლეებს დაეხმარება მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების შექმნაში. სწავლების პერიოდში მოსწავლეები მოისმენენ ციკლურ ლექციებს თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების, სლაიდ-მოულების, ანიმაციებისა და ფილმების გამოყენებით. განახლდა ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობები.

19 ოქტომბერს სწავლა დაიწყო „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლაშიც“. პროფესორმა რამაზ გახლიძემ წაკითხა ლექცია „ქიმია და ცივილიზაცია“. მოსწავლეებმა, ასევე, მოისმინეს: მანანა რუხაძის, ბეჟან ჭანკვეტაძის, ომარ მუკუბანიანის და სხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ლექციები.

„ნორჩ გეოგრაფთა სკოლაში“ პირველი ლექცია — „მინისძვრები და მისი გამოყენება მიზნუბი“ თსუ-ის ასისტენტ-პროფესორმა ზურაბ ჯავახიშვილმა წაკითხა. მთელი წლის მანძილზე მოსწავლეები საკმაოდ მდიდარ ინფორმაციას მიიღებენ როგორც საქართველოს, ისე სხვა რეგიონების ბუნების კანონზომიერებების შესახებ და, ზოგად განათლებასთან ერთად, ქართველი და უცხოელი მეცნიერების უახლეს მიღწევებს გაეცნობიან. ლექცია-სემინარების გარდა რეგულარულად ჩატარდება პრაქტიკული მეცადინეობები თსუ-სთან არსებულ სასწავლო სამეცნიერო ობიექტებზე, სამეცნიერო-შემეცნიერებითი გასვლითი პრაქტიკა მოეწყობა თბილისის გარემოს შემსწავლელ სამეცნიერო დაწესებულებებში, გეოგრა-

ფიის ინსტიტუტის მუზეუმში, ბოტანიკურ ბაღში და სხვა.

სწავლა განახლდა „ნორჩ გეოლოგთა სკოლაშიც“. წლის განმავლობაში მოსწავლეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ამ სფეროში კვლევის უახლოეს მონაცემებს.

„საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში მოქმედი „ნორჩი ეკონომისტის“ სკოლაში 23 ოქტომბერს გაიმართა ლექცია თემაზე — „ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები“, რომელიც პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა წაკითხა.

სწავლა სხვადასხვა მიმართულებით განახლდა „ნორჩ ჰუმანიტართა სკოლაშიც“. 22 ოქტომბერს არქეოლოგიის კლასში გაერთიანებულ მოსწავლეებს პირველი ლექცია პროფესორმა გურამ გრიგოლიამ წაუკითხა თემაზე — „უძველესი ადამიანები საქართველოში“, მოსწავლეებმა მომდევნო მეცადინეობებზე მოისმინეს პროფესორების: ვახტანგ ლორელიის, ზვიად კვიციანის და სხვათა ლექციები.

ისტორიის კლასში პირველი ლექცია — „ჯვაროსნების ისტორია“ ნიკო სილაგაძემ წაკითხა. მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ პროფესორ-მასწავლებლებს: ალექსანდრე ბოშიშვილის, თეა ნითლანაძის, ლერი თავაძისა და სხვა ლექტორების ლექციებს.

ალსანიშნავია, რომ „ნორჩ ჰუმანიტართა სკოლაში“ დიდი ყურადღება ექცევა უცხო ენის სწავლებას. ამ მიმართულებით მუშაობს ინგლისური და ფრანგული კლასები, სადაც ყოველ ხუთშაბათს ტარდება პრაქტიკული თუ თეორიული მეცადინეობები. ასევე, ბევრი მსურველი ჰყავს ქართული ენის კლასს, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან სალიტერატურო ენის ნორმებს, ლექსიკას,

ფრანგოლოგიას, თხზულების წერის ძირითად პრინციპებს.

კინემატოგრაფისტთა კლასში მოსწავლეებს უტარდებათ მასტერკლასები. ნორჩ მხატვართა კლასში მეცადინეობა ყოველ ორშაბათს ტარდება.

სასწავლო პროცესი „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ „ნორჩპოლიტმეცნიერთა სკოლაშიც“ გაიმართა. სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეები მოისმენენ ლექციების კურსს პოლიტიკური მეცნიერების შესახებ, რომლის თემატიკა მრავალფეროვანია: რა არის პოლიტიკა, პოლიტიკური ძალაუფლება და ძალაუფლების წყაროები, რას ნიშნავს ლეგიტიმურობა, რას ნიშნავს სახელმწიფო, ნაციონალიზაცია და გლობალიზაცია და სხვა. ყოველი ლექციის შემდეგ გაიმართება ფილმის ჩვენება.

მედიცინის ფაკულტეტზე არსებულ „ნორჩ მედიკოსთა სკოლაში“ მოსწავლეებს პირველი ლექცია თემაზე: „C ვირუსული ჰეპატიტი“ მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტმა ეკატერინე დოლმაზაშვილმა წაუკითხა. მომდევნო ლექციების თემატიკა საინტერესო და მრავალფეროვანია. მედიცინის ფაკულტეტის წამყვანი სპეციალისტები ისაუბრებენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა, აივ/ინფექცია შიდსი, ნარკომანია, სიმსუქნე და სხვა.

ალსანიშნავია, რომ სასწავლო წლის ბოლოს „საბავშვო უნივერსიტეტის“ ყველა მიმართულებაზე დაგეგმილია წლის შემჯამებელი კონფერენციებისა და ინტელექტუალური შეჯიბრებების მოწყობა. საუკეთესო ნაშრომის ავტორები დასაჩუქრდებიან, ხოლო მათი ნაშრომები „საბავშვო უნივერსიტეტის“ ინტერნეტ გვერდზე გამოქვეყნდება.

# საქართველოს ისტორიის უკველი, ძველი, ახალი და უახლესი პრობლემები

## შურსინა ბაროშვილი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია, ზოგადად, ჰუმანიტარული პროფილის ყველა სპეციალისტს აერთიანებს. 28-29 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის დარგში გამართულ კონფერენციაზე წარმოდგენილი თემატიკა კი საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ იგი მოიცავდა საქართველოს ისტორიის არაერთ მნიშვნელოვან საკითხს, უძველესი დროიდან თანამედროვე პრობლემების ჩათვლით, რაც აღნიშნული დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

კონფერენცია პროფესორმა თედო დუნდუამ გახსნა, რომელმაც ისაუბრა სამეცნიერო კვლევის განვითარებაში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის როლის შესახებ. „ეს ინსტიტუტი სამართალმეცნიერება საქართველოს ისტორიის იმ კათედრისა, რომელიც უნივერსიტეტის დაარსების პირველივე დღეებიდან არსებობდა და სადაც არა ერთი გამოჩენილი მეცნიერი მოღვაწეობდა. კონფერენცია უნდა გახდეს ერთგვარი დასაწყისი გარკვეული სამეცნიერო გამოცოცხლებისა“, — აღნიშნა თედო დუნდუამ.

პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა კონფერენციის მნიშვნელობასა და ინსტიტუტში მიმდინარე მუშაობის შესახებ ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ ინსტიტუტის თანამშრომლები ინდივიდუალურად ჩართულნი არიან სხვადასხვა სამეცნიერო პროექტში, ინსტიტუტს განხორციელებული აქვს მნიშვნელოვანი საერთო აქტივობანი სამეცნიერო დარგში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, რომელიც საქართველოს ისტორიის ინსტიტუტს გაფორმებული აქვს 2008 წლიდან საუნივერსიტეტო თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში რომის ლა საპინეზას უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტთან. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგი იყო მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „ვია ევანჯია“ - კულტურული, პოლიტიკური, რეგიონალური ინტეგრაცია; ხალხები და სახელმწიფოები წარსულში და დღეს“, რომელიც 2009 წლის ნოემბერში საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ინიციატივით გაიმართა. ინსტიტუტის თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობით მომზადდა სამეცნიერო ჟურნალები „საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები“ (9, 2008) და „ქართული წყაროთმცოდნეობა“ (12, 2010).

მნიშვნელოვანია ინსტიტუტის წვლილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების მომზადებაში. ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულია საქართველოს ისტორიის პროფილის არაერთი სავალდებულო და არჩევითი კურსი, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ სტუდენტთა შორის. ინსტიტუტის ყველა პროფესორი მონაწილეობს სამაგისტრო პროგრამაში „საქართველოს ისტორია“. ამ პროგრამაზე ამჟამად სწავლობს ორ ათეულზე მეტი სტუდენტი. ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლას აგრძელებს დოქტორანტურაში. ინსტიტუტის ბაზაზე მომზადებულია რამდენიმე სადოქტორო პროგრამა.

ინსტიტუტში მოქმედებს სამეცნიერო სემინარი და სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი წრეა.

ინსტიტუტის მთავარი მიმართულება საქართველოს კვლევის დარგში არსებული ტრადიციების დანარჩუნება, აგრეთვე, თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში არსებული სიახლეების გათვალისწინება და დანერგვა, საერთო ჯამში კი, საქართველოს ისტორიის ინტერნაციონალიზაცია. ამას ემსახურება ინსტიტუტის პროფესორთა მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებში და პუბლიკაციები ევროპულ ენებზე. ნოემბრის თვეში სწორედ ინსტიტუტის პროფესორთა მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებში და პუბლიკაციები ევროპულ ენებზე. ნოემბრის თვეში სწორედ აღნიშნულ კონტექსტში ინსტიტუტი უცხოელ კოლეგათა მონაწილეობით ჩაატარებს სემინარს „ვისია საქართველოს ისტორია?“

ინსტიტუტში ჰარმონიულად თანამშრომლობს სხვადასხვა თაობის პროფესორთა. ყველა საინსტიტუტო საქმეში უფროსი თაობის



გვერდით აქტიურად არიან ჩართულნი ახალგაზრდები: ასისტენტ-პროფესორები, დოქტორანტები, მაგისტრანტები. ეს კონფერენციაც ამის ნათელი ილუსტრაციაა“, — აღნიშნა მარიამ ჩხარტიშვილმა.

აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ იმ განსაკუთრებულ წვლილზე ისაუბრა, რაც საქართველოს ისტორიის მიმართულებით ქართულ მეცნიერებას კვლევა შესძინა. მან უნივერსიტეტისა და სახელმწიფოს მხრიდან იმ მხარდაჭერის აუცილებლობაზეც გაამახვილა ყურადღება, რომელიც საქართველოს ისტორიის სფეროს სჭირდება.

კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო, პირველ სხდომაზე წარმოდგენილი მოხსენებები, ძირითადად, მოიცავდა საქართველოს ისტორიის უძველესი და ძველი პერიოდის პრობლემებს, ასევე, იდენტობის პრობლემებს. აღნიშნული პროფილით მოხსენებები წარმოადგინა ნიკოლოზ სილაგაძემ - (ქართული ხალხის ეთნოგენეზის საკითხისათვის); ანდრო გოგლაძემ (თანამოსხენელები თემურ თოდუა) - (ალექსანდრე მაკედონელი და კავკასია (ბერძნულ-ქართული წყაროების შედარებითი ანალიზი); მარიამ ჩხარტიშვილმა - (ქართული იდენტობის საკარალური ასპექტი.) სამივე მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. დასმული იყო არა ერთი შეკითხვა ქართველი ხალხის წარმოშობის, მათი განსახლებისა და საცხოვრის შესახებ, ასევე, მათი მოგვეწოდების შესახებ. ინტერესი გამოიწვია ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში მოხსენის თაობაზე არსებული წყაროების წარმომავლობაზე, მისი ლაშქრობის რეალურობაზე

საქართველოსა თუ კავკასიის ტერიტორიაზე. კითხვები დაისვა ქართული იდენტობის პრობლემის შესახებაც, თუ როგორია იდენტობა დღეს და როგორი იყო ადრე, რა მეთოდიკა უნდა იყოს გამოყენებული ქართული იდენტობის კვლევისას და ა.შ.

შუა საუკუნეების საკითხების პრობლემებიც მოხსენებები წარმოადგინეს დარგის თვალთვალში - (სად და როდის ჩამოყალიბდა ქართული ოთხთავის ათონური რედაქცია); ლეონ თავაძემ - (საქართველოს სამეფო ოჯახის სოციალური სტატუსი XI-XVI სს-ის ფერეკული მხატვრობის მიხედვით), თედო დუნდუამ - (მონეტა, როგორც პროპაგანდის საშუალება. გიორგი მესამის ფული); ელენე გოგიაშვილმა - (ფანტასტიკური არსების „ვაცა-

დომაზე პროფესორმა როლანდ თოფჩიშვილმა წაიკითხა მოხსენება - სად მოხდა ალან-ოსთა ეთნოგენეზი? წაკითხული მოხსენებების შესაბამისად მრავალი საინტერესო შეკითხვა დაისვა: თუ რა მეთოდით ხდება შუა საუკუნეების თბილისისა და სხვა მეზობელ რეგიონებში მდებარე ქალაქების მოსახლეობის დადგენა, რამდენად არის აღნიშნული მეთოდი სარწმუნო, ასევე რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ „გორულის“ წარწერაში მოხსენიებული პირები საქართველოს ისტორიაში, რა როლს ასრულებს იყო ქართული არმია ერეკლე მეორეს დროს, მოხდებოდა თუ არა ქართლ-კახეთის ანექსია, რუსეთის „აღმოსავლური პოლიტიკის“ ვექტორი რომ არ შეცვლილიყო, რამდენად მწვავედ იდგა გენდერის პრობლემა XIX ს-ის II ნახევარში დღევანდელთან შედარებით, საიდან მოხდა ალან-ოსების მიგრაცია კავკასიაში და ა.შ.

დიდი ინტერესი გამოიწვია მოხსენებებმა საქართველოს XX ს-ის შესახებ. მათ შორის: დიმიტრი მგელიძის - (გიორგი დეკანოზიშვილი და იაპონიის კონტრდაზვერვა 1904-1905 წლებში); მიხეილ ბახტაძის - (საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წ. თავდაცვითი ხელშეკრულება); თეა ქაშუაძის - (რეფლექსია სოციალისტურ მემკვიდრეობაზე (საქართველო-პოლონეთის მაგალითი); ქეთევან გორიშაშვილის (თანამოსხენელები გიული შაბაშვილი) - (ქართული სოციალური რევოლუცია); ამავე სხდომაზე გამოვიდნენ: ქეთევან ქუთათელაძე - (ჩრდილოეთ სომხეთი თუ სამხრეთ ქართლი?); ნათია ფიფია - (ევსევი კესარიელისა და იპოლიტე რომაელის ცნობები I-II საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ეთნოპოლიტიკური ისტორიის შესახებ). მომხსენებლებმა უპასუხეს შემდეგი შინაარსის შეკითხვებს: რა როლი შეასრულა იაპონიის კონტრდაზვერვამ რუსეთის იმპერიის დესტაბილიზაციაში XX ს-ის დასაწყისში, რა როლს თამაშობდა გიორგი დეკანოზიშვილი ანტიიმპერიულ მოძრაობაში, რას ითვალისწინებდა საქართველო-აზერბაიჯანის თავდაცვითი ხელშეკრულება 1919 წელს, რატომ არ დაეხმარა საქართველო აზერბაიჯანს 1920 წელს საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის პირობებში, რა მთავარ ფაქტორებს და განსხვავებებს ქალაქ რუსთავსა და ნოვა ჰუტას სამრეწველო რაიონს (კრაკოვი) შორის, რა სახის თანხვედრა და სხვაობაა ქართულ სოციალურ რევოლუციასა და დასავლურ შორის, როგორი შინაარსის იყო საბჭოთა სოციალური რევოლუცია, როგორია სომხური წყაროების მონაწილეობა ქვემო ქართლის შესახებ შუა საუკუნეებში, რა სახის წყაროები მოგვეპოვება დასავლეთ საქართველოს ეთნიკური ისტორიის შესწავლის კუთხით ანტიურ ეპოქაში და ა.შ.

თედო დუნდუას ინფორმაციით, კონფერენციაზე არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა, გამოითქვა მრავალი შენიშვნა და სურვილი, საქართველოს ისტორიის კვლევის გაღრმავების მიზნით. კონფერენციაზე წაკითხული მასალების დიდი ნაწილი, სხვა მეცნიერულად ლირებულ ნაშრომებთან ერთად, დაიბეჭდება საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომებში, რომლის პირველი ნომრის პუბლიკაცია იგეგმება 2010 წლის ბოლოს, როგორც ერთგვარი შეჯამება ინსტიტუტის მუშაობისა და კონფერენციაზე წარმოდგენილი მასალების თავმოყრის საუკეთესო საშუალება. 28-29 ოქტომბერს გამართული კონფერენცია იყო იმ ტრადიციის გაგრძელება, რასაც საქართველოს ისტორიის კათედრა და შემდგომში საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი აკეთებდა წლების განმავლობაში, ანუ როცა საერთაშორისო, ეროვნულ და საუნივერსიტეტო კონფერენციებს აწყობდა საკუთარი გეგმით.

## მემორანდუმი ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან

### ნატო მომლაქა

უკვე, დაახლოებით, 15 წელია, რაც თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე იკითხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კურსი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არის საერთაშორისო სამართლის დარგი, რომელიც, ძირითადად, შეეხება კონვენციებს ეფუძნება, ახდენს შეიარაღებული კონფლიქტების სამართლებრივ რეგულირებას. დღეს საერთაშორისო სამართლის ამ დარგის პრინციპების პოპულარიზაცია როგორც საქართველოში, ასევე, მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ეს პროცესი სხვადასხვა გზით ხორციელდება. ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კი უმაღლეს სასწავლებლებში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სწავლებაა.

„საქართველოში 1992 წლიდან ვსაქმიანობ. ჩვენი ურთიერთობა საქართველოს აკადემიურ წრებთან 15 წლის წინ დაიწყო და მას შემდეგ ვეხმარებით უნივერსიტეტს მათ სასწავლო პროგრამებში საერთაშორისო ჰუმანიტარული ინტეგრირებაში. ყოველთვის მახარებს ქართველი სტუდენტების წარმატება, როდესაც ისინი ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მხარდაჭერით საერთაშორისო დონის ლონისძიებებში მონაწილეობენ“, — განაცხადა საქართველოში ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელმა არიან ტომებმ.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სწავლების გაღრმავებისთვის 4 ნოემბერს თსუ-ში საქართველოში ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციასთან ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმი სამართლის ამ დარგში კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერასაც ითვალისწინებს. კომიტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობაზე დაინტერესებულია და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სფეროში გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო ლონისძიებებში სტუდენტების

მონაწილეობას უზრუნველყოფს.

„ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ჩვენს უნივერსიტეტს ჰუმანიტარული სამართლის დარგის განვითარებაში და სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებაში დაეხმარება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო სამართლის ამ დისციპლინაში გადმოგვცემენ სამეცნიერო ლტერატურას, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში განთავსდება და ყველა სტუდენტისა თუ პროფესორ-მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომი იქნება“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიციანიძემ.



ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და თსუ-ის შორის ორმხრივი თანამშრომლობა ურთიერთგაგების მემორანდუმის მიხედვით ერთი წლის ვადით განისაზღვრა.

# მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი გამარჯვებული

პურთხია გაროშვილი

„სამშობლო ხარ ჩემი“ — ეს განცდა ყოველთვის თან სდევს ტაო-კლარჯეთში ჩასულ ქართველს. საქართველოსამხრეთულმხარეში, რომელიც ერთ დროს მძლავრ ფეოდალურ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი თავმოყრილი. ოშკის, ხახულის, ოპიზას, შატბერდის, ტბეთის, ხანძთის, არტანუჯის ციხის და სხვა უნიკალური ძეგლების მონახულების შემდეგ კი ამ ემოციას ტკივილიც ემატება.



„სამშობლო ხარ ჩემი“ — ასე დარქვეს დოკუმენტურ ფილმს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებმაც ტაო-კლარჯეთში იმოგზაურეს და თავიანთი ემოცია ფირზე აღტყვეს. ბათუმის მართლმადიდებლური ფილმების V საერთაშორისო ფესტივალზე წარდგენილმა მათმა ნამუშევარმა დამსახურებულად მოიპოვა ფესტივალის ერთერთი მთავარი პრიზი — სიგელ გუჯარი. თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა თეონა გეგენიძემ და თათია კობახიძემ ფილმის სცენარი ერთობლივად დაწერეს და შემდეგ იგი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის შესაბამის დეპარტამენტში წარადგინეს. ჟურნალისტიკის პროექტმა მონონება დაიმსახურა, რასაც მოჰყვა სამდღიანი ტური ტაო-კლარჯეთში. მოგზაურობისას გადაღებულ ფოტოს კონსულტანტად უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ბონდო კუპატაძე ახლდა. „ჩვენი მიზანი იყო დოკუმენტურ-შემეცნებითი ფილმის გადაღება ტაო-კლარჯეთზე, რათა საზოგადოებისთვის ამ მხარეში არსებული ქართული ძეგლების დღევანდელ მდგომარეობაზე რეალური ინფორმაცია მიგვეწოდებინა. შთაბეჭდილება მართლაც მძიმე იყო. გადავიღეთ ოშკი, ხახული, იშხანი, არტანუჯის ციხე. სამწუხაროდ, ტაო-კლარჯეთში უამრავი ძეგლია, რომლის წარჩენებაც შეუძლებელია. გარდა ამისა, ფილმში ყურადღება გავამახვილეთ იმაზეც, რომ ქოროსზე ჰიდროენერგოსადგურების მშენებლობამ, შესაძლოა, კლიმატის ცვალებადობა გამოიწვიოს, რაც კულტურულ ძეგლებს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. გეოლოგების შეფასებით, ნესტი უარყოფითად მოქმედებს ძეგლებზე და ხელს უწყობს მის ნაადრევ ნგრევას. თუმცა, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რამდენიმე ძეგლი წყლის ქვეშ არის მოქცეული, არ დამსტურდება. ფილმში შევხვით ძეგლების რესტავრაციის საკითხსაც — ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვაგრძელებთ მოლაპარაკებას კულტურის

სამინისტროსთან. ჩვენთვის სასიამოვნო იყო იმის გაგებაც, რომ ზოგიერთი ძეგლი აღდგენის საშუალებას იძლევა და აღარ საჭიროებს კონსერვაციას“, — ამბობს თეონა გეგენიძემ. აღსანიშნავია, რომ ბათუმის დრამატულ თეატრში მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი — „წმინდა ანდრეას ჯვარი“ 18-22 ოქტომბერს გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო მართლმადიდებლურ თემატიკაზე შექმნილი მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმები, ასევე, ნაჩვენები იყო ამ თემატიკაზე შექმნილი ტელეფილმები, ტელეპროგრამები, სარეკლამო რგოლები და კლიპები. ფესტივალის საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით გაიმართა და სვეტიცხოვლის აშენების 1700 წლისთავს და მისი განახლებიდან 10 წლისთავს მიეძღვნა.

თსუ-ის სტუდენტების თათია კობახიძისა და თეონა გეგენიძის ინფორმაციით, ფესტივალზე — „წმინდა ანდრეას ჯვარი“, შესარჩევ ტურში, 70 ფილმი იყო წარმოდგენილი, საიდანაც 38 შეირჩა, მათ შორის, ფილმი „სამშობლო ხარ ჩემი“, რომელიც სიგელ-გუჯარით დაჯილდოვდა. „მართალია, ვერ მოვიპოვეთ მთავარი პრიზი — „წმინდა ანდრეას ჯვარი“, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს ფილმი ჩვენი პირველი ნამუშევარია, ამ შემთხვევაში, სიგელ-გუჯარის მიღება ჩვენთვის დიდი პატივია“, — მიანიჭათ სტუდენტებს. შემოქმედებითი ჯგუფი კვლავაც გეგმავს ტაო-კლარჯეთში მოგზაურობას. სტუდენტების მიზანია, ფილმის მეორე ნაწილში აისახოს იქ მცხოვრები ქართველების ყოფა. ფილმის მეორე ნაწილზე მუშაობა თათიამ და თეონამ უკვე დაიწყეს... მათ იმედი აქვთ, რომ დოკუმენტური ფილმის ეს ნაწილიც ასევე საინტერესო იქნება. მათი ინფორმაციით, ფესტივალში გამარჯვებული ფილმის ჩვენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში უახლოეს მომავალში გაიმართება. ფილმი, ასევე, ნაჩვენები იქნება საპატრიარქოს ტელევიზიითაც.

„გვინდა, სტუდენტების გასაგონად ვთქვათ: თუ გაქვთ კარგი იდეები ან პროექტები, მათი განხორციელების საშუალება ნამდვილად არის უნივერსიტეტში — ამის დასტურია ის მხარდაჭერა, რაც თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ჩვენს მიმართ გამოიჩინა.“ — ამ მიმართებით დაასრულეს ჩვენთან საუბარი სტუდენტებმა, რომელთაც, იმედაც, ფილმის მეორე ნაწილიც წარმატებას მოუტანს.

# ვიცინოთ თსუ-ის „მან-სან-კან“-თან ერთად

პურთხია გაროშვილი

თურმე, ადამიანი, ყველაზე გულწრფელი, სიცოცხლის დროს... თურმე, ყველაზე ხშირად საკუთარ ძალებში დარწმუნებული ადამიანები იციან... მედიკოსები ამტკიცებენ, რომ სიცოცხლე — ჯანმრთელობაა, მეცნიერების აზრით კი, სიცოცხლე ადამიანმა ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ისწავლა (ისე, საინტერესოა, რა აცინებდათ?). ყველაზე კარგი კი, ალბათ, ისაა, როცა სიცოცხლის მიზეზი არსებობს.

ქართულ იუმორს უჭირს თუ უღიზნის, ეს საკამათო თემაა, მაგრამ ქართველებს რომ იუმორის გრძობა გვაქვს, უდავოა... უნივერსიტეტში ჩატარებული „მან-სან-კან“-ის (KBH) შიდაჩემპიონატის გახსნაზე სტუდენტებმა თავიანთი თანატოლების ხუმრობებზე მართლაც ბევრი იცინეს. VIII კორპუსის სააქტო დარბაზში უნივერსიტეტის ექვსმა გუნდმა („ფანტომასი“, „ხუმრობა კეცზე“, „ყვითელი ავტობუსი“, „როკენ-როლი“, „იუმორის საფუძველი“ და „ჰოპოლა“) „მან-სან-კანის“ ფორმატით გათვალისწინებული თითო ნომერი, ე.წ. „მისაღება“, წარმოადგინა. კონკურსში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა, განსაკუთრებით კი იურისტები აქტიურობდნენ. ამ ფაკულტეტის სტუდენტები: ნიკა სანადირაძე, თორნიკე პაპუნაშვილი, ალექსანდრე ძაგანიძე, ვანო გუმბერიძე ძველი „მან-სან-კან“-ელები არიან. მათ ჯერ კიდევ 2009 წელს შექმნეს გუნდი „სიცოცხლის კოდექსი“, რომელმაც ბათუმის მუსიკალურ ფესტივალში პირველი ადგილი მოიპოვა, თუმცა მიმდინარე ჩემპიონატის გახსნაზე ისინი სხვადასხვა გუნდებს წარმოადგენდნენ. კონკურსში აქტიურად ჩაერთვნენ პირველკურსელებიც, მათ შორის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი მარიამ გიორგობიანი, რომელიც გუნდის „ხუმრობა კეცზე“ აქტიური მონაწილე გახდა. სტუდენტები მიღწეული წარმატებით კმაყოფილი არიან და მომდევნო, მეოთხედფინალისთვის, ნახევარფინალისთვის და ფინალისთვის მზადებას უკვე შეუდგნენ.



„მან-სან-კანის“ ჩემპიონატში მონაწილე გუნდები სპეციალურად მონეულმა ფიურში შეაფასა, მათ შორის იყვნენ: თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწე გიორგი გაფრინდაშვილი, მსახიობი გოგა ბარბაქაძე, KBH-ის ფედერაციის პრეზიდენტი ნიკოლოზ მახვილაძე, თსუ-ის მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ყოფილი კაპიტანი, იუმორისტი ალექო მალხაზიშვილი, თსუ-ის თვითმმართველობის

პრეზიდენტი დარი გუბაძე, თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ხარჯავანიძე, საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალგაზრდული ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი ირაკლი სამხარაძე. მათი გადაწყვეტილებით, პირველ ადგილზე გუნდი „ფანტომასი“ გავიდა, II ადგილი გუნდმა „ხუმრობა კეცზე“ მოიპოვა, სტუდენტების მონონება დაიმსახურა „ყვითელი ავტობუსის“ მისაღებად, თუმცა ფიურის გადაწყვეტილებით, გუნდს III ადგილი ერგო. შემდეგი ადგილები კი ასე გადანაწილდა: „როკენ-როლი“ — IV ადგილი, „იუმორის საფუძველები“ — V ადგილი, „ჰოპოლა“ — VI ადგილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მხიარულთა და საზრიანთა იუმორისტული კლუბის კონკურსი 2009 წელს, მაშინდელი სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელობის ინიციატივით განახლდა. სტუდენტური თვითმმართველობის ყოფილი პრეზიდენტის გიორგი შამათავას, კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელის ირაკლი ხარჯავანიძის და გადაცემა „შუა ქალაქის“ სცენარისტის გიორგი კაპანაძის ხელშეწყობით უნივერსიტეტის ნაკრებმა 2 წლის მანძილზე სერიოზულ წარმატებას მიაღწია. კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელის ირაკლი ხარჯავანიძის ინფორმაციით, ამ მოკლე ხანში უნივერსიტეტის გუნდმა შეუძლებელი შეძლო და 2010 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა.

„სასიამოვნოა, რომ 7 წლის შემდეგ, უნივერსიტეტში KBH-ის ტრადიცია აღდგა. სტუდენტური ცხოვრება ხომ გართობასაც ითვალისწინებს. ამ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა ნიჭის გამოვლენის საშუალება ყველა სტუდენტს თანაბრად აქვს. თვითონ წერენ სცენარებს, თავად აკეთებენ არანაირ რეჟის დე. ა.შ. ამ ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უნივერსიტეტში ბევრი ნიჭიერი სტუდენტი, რომლებსაც კარგად განვითარებული იუმორის გრძობა აქვს. საბოლოოდ მინდა აღვნიშნო, რომ ბევრი ცნობილი იუმორისტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. სპორტისა და კულტურის

# ნაბიჯი მსოფლიო ჩემპიონობაზე

ბავარიის ლია საჭადრაკო ჩემპიონატზე, რომელიც, 30 ოქტომბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით, ტრადიციულად, წელს უკვე მეთოთხმეტედ გაიმართა, ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ქართველმა მოჭადრაკე ქალმა, არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, დიდოსტატმა მაია ლომინიშვილმა, რომელიც ამავე დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის მთავარი სპეციალისტია.

## მაია ტორაძე

საჭადრაკო ტურნირებს შორის ბავარიის ლია ჩემპიონატი გამორჩეულია — მას მაღალი საპრიზო ფონდი აქვს და მასში დიდოსტატებთან ერთად მოყვარულებსაც შეუძლიათ მონაწილეობა. წელს ამ ჩემპიონატში 470 მოჭადრაკე ასაბარებოდა. მათ შორის: 100 დიდოსტატი მამაკაცი, 30 ქალი და 300-მდე მოყვარული.

ჩემპიონატი ყოველწლიურად იმართება და ყოველთვის დიდი რაოდენობით სტუმრებს მასპინძლობს, რადგანაც ადგილი, სადაც ის იმართება, ალპებში, ტბის პირას მდებარეობს. იქ შემოდგომის ამ პერიოდში ძალიან კარგი ამინდები დგას, რაც სტუმრებისთვის, ტურნირის მონაწილეთათვის და დაინტერესებული პირებისთვის დამატებით კომფორტს ქმნის.

ტურნირზე, რომელიც შვეიცარიული სისტემით გაიმართა, საქართველოდან მხოლოდ მაია ლომინიშვილი იყო მინვეული. მასთან ერთად ტურნირში მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონი მამაკაცებს შორის ალექსანდრე ხალიფმანი, რომელმაც ბავარიის ლია ჩემპიონატზე ასევე ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მაია ქალთა შორის I ადგილს დაუფლდა, ხოლო მამაკაცებში მე-20 — 35-ე ადგილები გაიყო, რაც 100 დიდოსტატ მამაკაცს შორის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

„ამ გამარჯვებას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ბოლო წელიწადნახევარი ჩადრაკისტების ნაკლებად მეცალა და ჩემი რეიტინგი 100 ქულით შემცირდა. 2 დეკემბერს მსოფლიო ჩემპიონატზე მივდივარ და ეს ტურნირი ძალიან კარგი მოსამზადებელი ეტაპი იყო. ჩემპიონობამ საკუთარი შესაძლებლობის რწმენა დამიბრუნა და დამარწმუნა, რომ მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლა შემიძლია. მართალია, დაკლებული რეიტინგის გამო, ძლიერ მონინალმდეგესთან მომიწევს შეხვედრა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებისთვის ბრძოლას შევძლებ!“ — განაცხადა ჩვენთან საუბარში მაია ლომინიშვილმა.

მსოფლიო ჩემპიონატი კარსაა მომდგარი. მაიას შეუპოვრობა და მაღალი საჭადრაკო ხელოვნება იმედს გვაძლევს, რომ ახალი წლისთვის საქართველოს ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ეყოლება და მას ჩვენს

გაზეთში უკვე მსოფლიო ჩემპიონობას მიველოცავთ.




კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა, პროფესორ კეროლ ბრინის ხელმძღვანელობით, შეისწავლა და გააანალიზა იმ 872 პაციენტის მონაცემები, ვინც ბოლო ოცი წლის მანძილზე ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იყო და თანაც განათლების შესახებ კითხვარებს პასუხობდა. შედეგად დაადგინეს, რომ ადამიანებს, ვინც ახალგაზრდობაში დიდი განათლება მიიღო, სხვებზე მეტი შანსი აქვთ — სიბერის გონებასუსტობა თავიდან აიცილონ. იდეა, რომ განათლების მაღალი დონე შესამჩნევად ამცირებს სიბერის გონებასუსტობის გაჩენის რისკს, მეცნიერებს შორის ადრეც არსებობდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სწავლის ერთი ზედმეტი წელი ასეთ რისკს 11%-ით ამცირებს. მაგრამ მეცნიერებს ვერა და ვერ გადაეწყვიტათ ამის მიზეზი კონკრეტულად განათლება იყო თუ ის ჯანმრთელი ცხოვრების წესი, რომელიც ევროპელებს ამის წყალობით გამოუმუშავდათ. ამჯერად კი, მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ტვინის სხვადასხვა დაზიანებით გამოწვეულ სიბერის გონებასუსტობას წინააღმდეგობას სწავლის მაღალი დონე უწევს.



დეგობას სწორედ განათლების მაღალი დონე, ანუ „გავარჯიშებული“ გონება უწევს. „მეცნიერებმა წინა წლებში უამრავი ადამიანის ტვინი შეისწავლეს სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც. თუმცა, ცალსახა პასუხს მაინც ვერ იძლეოდნენ. ზოგს უამრავი პათოლოგია აღენიშნებოდა, მაგრამ გონებასუსტობა მაინც არ ტანჯავდა, ზოგს კი, პირიქით. ამჯერად ჩვენი ნაშრომი თვალნათლივ ადასტურებს, რომ ტვინის სხვადასხვა პათოლოგიით გამოწვეულ გონებასუსტობას წინააღმდეგობას მხოლოდ ახალგაზრდობაში მიღებული განათლების მაღალი დონე უწევს, — განაცხადეს მეცნიერებმა.

ოსლოში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე არქტიკისა და ანტარქტიდის ყინულების შემსწავლელმა გლაციოლოგებმა განაცხადეს, რომ არქტიკის ყინულის საფარი სისტემატურად მცირდება, ხოლო ანტარქტიდაში, ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე, საფარი და, განსაკუთრებით, მცურავ ყინულთა რაოდენობა მცირედით, მაგრამ მაინც იზრდება. მათი აზრით, ამ პროცესს ხელს უწყობს ოზონის ხვრელი, რომელიც სამხრეთ პოლუსის თავზეა მოქცეული. მისი წყალობით ანტარქტიდის თავზე ქარის გიგანტური ძაბრი მოექცა, რომელიც ყინულის საფარის გაზრდას



ხელს უწყობს, თუმცა მატერიკის ჩრდილოეთით დნობის პროცესსაც აჩქარებს. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ოზონის ფენის გაქრობის სანინალმდეგოდ მიღებული ზომების შედეგად ყინული დნობას დაიწყებს და საუკუნის დასასრულსათვის მესამედით შემცირდება.

გავრცელებული აზრი, რომ დილით მირთმეული ყავა ორგანიზმს სტიმულს მატებს, მხოლოდ ილუზია აღმოჩნდა. ბრისტოლის უნივერსიტეტის მეცნიერების ხელმძღვანელობით, ექსპერიმენტის 379 მოხალისე მონაწილე 16 საათის მანძილზე კოფეინის მიღებისგან თავს იკავებდა. შემდეგ ერთ ნაწილს მაგარი ყავა, მეორეს კი კოფეინის ტაბლეტი შესთავაზეს. შედეგად ყურადღების, სიფხიზლისა და მეხსიერების კომპიუტერული ტესტები ორივე ჯგუფმა ზუსტად ერთნაირად გაიარა. თუმცა, ტაბლეტის მიმღებ ჯგუფს, როგორც მოსალოდნელი იყო, სისხლის წნევა უფრო



მაღალი აღმოაჩნდა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს გავრცელებული აზრი მხოლოდ ჩვევითა და თვითშთაგონებით არის გამოწვეული.




ჩინელმა მეცნიერებმა დიდი ჩინური კედლის სიმყარის და ხანგრძლივობის საიდუმლო აღმოაჩინეს. ქიმიკოსებმა დაადგინეს, რომ იმ ნაერთში, რითაც ქვები ერთმანეთზეა მიმაგრებული, ნებვადი ბრინჯის ფაფა იყო გარეული. „ჩინური კედლის სიმყარეს დულაბში თავისებურად შეზავებული ორგანული და არაორგანული ნაერთები განაპირობებს. ამილოპექტონი ბრინჯიდან და კალციის კარბონატი კირიდან წარმოუდგენლად მყარ დულაბს ქმნის. ნიდაგის იმ მონაკვეთებზე, სადაც მისი ნვეთები დაეცა, ამდენი საუკუნის შემდეგაც კი ბალახი არ ხარობს, — აღნიშნა პროვინციულ ჩუენჯიანის უნივერსიტეტის პროფესორმა. მისივე განცხადებით, ნებვად ბრინჯის ფაფას არა მხოლოდ კედლის, არამედ სამარხებისა და ტაძრების მშენებლობისთვისაც იყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ იგივე ბრინჯი საკვებადაც ფართოდ გამოიყენება.

ტოკიოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა, ახალი, უნიკალური მასალა შექმნეს, რომელიც 98%-ით წყლისგან შედგება. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ ეს მასალა ნავთობის ბაზაზე შექმნილი პლასტმასის ალტერნატივა გახდება. ეს



უჩვეულო მასალა წყლის გარდა შეიცავს თიხისებრ მინერალს, რომელსაც კოსმეტიკაში იყენებენ და სპეციალურ მყავს, რომელსაც ნამის შესრულება შეუძლია. იგი ისეთივე მტკიცეა, როგორც სილიკონი, რომელსაც პლასტიკურ ქირურგიაში ხმარობენ. თანაც, ერთი უჩვეულო თვისებითაც გამოირჩევა. საკმარისია პატარა ნაჭერი მოაჭრა, რომ მაშინვე თვითაღდგენას იწყებს. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ამ მასალას 100 გრადუსიანი ტემპერატურის გაძლევა შეუძლია. მკვლევარებს იმედი აქვთ, რომ ამ მასალის გამოყენებას, მედიცინაც შეძლებს, ვთქვათ, შინაგანი ორგანოების დაზიანების შემთხვევაში.

ამერიკელი მეცნიერების აზრით, უახლოეს მომავალში რობოტები ოპერაციებს ქირურგების დახმარების გარეშე გააკეთებენ. ერთ-ერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ მანქანას უკვე შეუძლია ადამიანის ორგანოებზე ზემოქმედება ქირურგის გარეშე მოახდინოს. ექსპერიმენტი ჩრდილოეთ



კაროლინას უნივერსიტეტში ჩაატარა მეცნიერთა ჯგუფმა, რომელსაც პროფესორი სტივენ სმიტი ხელმძღვანელობდა. ულტრაბგერით გენერატორზე მიერთებული მანიპულატორის მეშვეობით, მათ ინდაურზე ტესტური ოპერაცია ჩაატარეს. მანიპულატორს, ულტრაბგერის საშუალებით ქსოვილის სკანირება და იმ დაზიანებული ადგილის პოვნა შეუძლია, რომელიც უნდა მოიკვეთოს. მონაცემებს იგი ხელოვნურ ინტელექტს გადასცემს, რომელიც მას დაამუშავებს და თავის მხრივ უკარნახებს — რა უნდა გააკეთოს. რობოტის მიერ ჩატარებული „ოპერაციები“ ჯერჯერობით ქირურგების მკაცრი კონტროლის ქვეშ სრულდება. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, დღეს, ინფორმაციის გადაცემისა და დამუშავების პროცესია, რასაც უფრო სწრაფი პროცესორი და სრულქმნილი ალგორითმები იოლად გადაწყვეტს.

იაპონია მხურვალე მერკურისკენ გაფრენას გეგმავს. ამ მისიას შეასრულებს სპეციალური სარკეებით აღჭურვილი კოსმოსური ზონდი, რომელსაც პლანეტიდან წამოსვლის 450 გრადუსი სიმაღლეების არეკლვა შეუძლია. იაპონიის აეროკოსმოსური კვლევების სააგენტოს განცხადებით, სარკეების წყალობით აპარატის შიგნით ტემპერატურა დაახლოებით 60 გრადუსი დარჩება, რაც შიგნით მზ-



ვერავი მოწყობილობების დამონტაჟების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ხომალდს ირგვლივ ექნება მიმაგრებული სპეციალური პანელები, რითაც მზის ენერჯიას გამოიყენებს. კოსმოსური აპარატი შეუჩერებლად იტრიალებს, რაც მისი რომელიმე გვერდის გადახურებას გამოიწვევს. ზონდის კოსმოსში გაშვება 2014 წლისთვის იგეგმება.

უახლოეს მომავალში სრულიად საკმარისი იქნება გზას უყურო, მანქანის მართვა კი ალარავის დასჭირდება. ასეთი ტექნოლოგია ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის სპეციალისტებმა შექმნეს. ყოფილი აეროდრომის ტერიტორიაზე მათ წარმოადგინეს ავტომანქანა, რომლის საჭეც მხოლოდ მზერით შეიძლება მართო. მეცნიერებმა შექმნეს პროგრამა eye Driver, რომელიც მძღოლის მზერას აფიქსირებს, სპეციალურ სიგნალებად გარდაქმნის და საჭეს აწვდის. სისტემა ორი კამერისგან შედგება. ერთი ადამიანის



თვალს ადევნებს თვალყურს, მეორე კი მძღოლის მზერის მიმართულებით იყურება. გარდა ამისა, სისტემას სპეციალური პროგრამებით აღჭურვილი ნოუთბუკიც სჭირდება.

ახალ ზელანდიაში გამომგონებელმა რუდი ჰიმანმა შექმნა აპარატი, რომელიც 70კმ.სთ. სიჩქარის დროს ჩვეულებრივი ძრავიანი ნავია, სიჩქარის მომატების შემთხვევაში კი ჰაერში აიჭრება და პატარა თვითმფრინავით დაფრინავს. კონსტრუქტორის განცხადებით, აპარატის შექმ-



ნას 10 წელი მოანდომა. მისი ტრანსპორტირება იოლია, რადგან ფრთები ეხსნება. შექმნა კი თავად კონსტრუქტორთან შეიძლება... სულ 10 ათას დოლარად.

გვერდი მოაზრდა: მანანა მიქელაქიძე

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, ნოდარ ბელქა-	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე	ვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხაღერი,	(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკორექტორი	ლიკა პეტრიაშვილი	მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე,	
კომპიუტ. უზრუნველყოფა	გიორგი ნიქარიშვილი	ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი,	
		ნანა ჭილაძე, თეა ჯუღელი	22 36 62